შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №7.სექტემბერი, 2012.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახალ სასწავლო წელს მიღწეული წარმატებებითა და სიახლეებით ხვდება

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი 77-ე სასწავლო წელს ხვდება. ამ ხნის მანძილზე მან ათეულობით ახალი თაობა მიიღო, გაუხსნა ცოდნის კარები და ცხოვრების ფართო ასპარეზზე გააცილა. მათ ღირსეული ადგილი დაიკავეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რითაც სახელი გაუთქვეს მშობლიურ უნივერსიტეტსა და რეგიონს.

2011-2012 სასწავლო წელი განსაკუთრებულად წარმატებული იყო ჩვენი უნივერსიტეტისათვის. მიმდინარე სასწავლო წელს კი ათასზე მეტი პირველკურსელი პირველად შემოდგამს ფეხს ამ ცოდნის ტაძარში, რომელიც მათ აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამებით, კვალიფიციური პროფესურითა და განახლებული ინფრასტრუქტურით ხვდება. წარმატებულობის მაჩვენებელია ისიც, რომ საგანმანათლებლო სივრცეში ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა. ამის დასტური უნივერსიტეტების მსოფლიო რეიტინგის Ranking Web of World Universities -2012 -is კვლევა გახლდათ, რომლის მიხედვით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უნივერსიტეტის საიტის ხილვადობის მაღალი ხარისხით, უმაღლესი სასწავლებლის მიღწევებით, პორტალზე განთავსებული უნივერსიტეტის ინფორმაციის გამოყენების სიხშირის, საერთაშორისო მასშტაბით პროფესორ-მასწავლებლებისა და მკვლევრების კვლევისა და პუბლიკაციების რეიტინგით მსოფლიოს 20725 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის 4845-ე, ხოლო საქართველოს უნივერსიტეტებს შორის მეხუთე ადგილი დაიკავა. იგივე ადგილი უჭირავს უნივერსიტეტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტატისტიკური მონაცემებითაც. ეს სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის ერთობლივი ძალისხმევით გახდა შესაძლებელი.

ამ რეიტინგის დასტურია ისიც, რომ წლევანდელი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩვენმა უნივერსიტეტმა კონკურსის საფუძველზე 95%-იანი შევსება მიიღო, სხვადასხვა ფაკულტეტზე 1035 პირველკურსელი ჩაირიცხა.

უნივერსიტეტი წარმატებას ვერ მიაღწევდა, რომ არა მასზე რეგიონის მთავრობის მუდმივი ზრუნვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წელს აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს სტუდენტთა მიზნობრივი დახმარების პროგრამას, რაც გულისხმობს გარკვეული კატეგორიის სტუდენტთა ხელშეწყობას სწავლის საფასურის გადახდაში. ეს კიდევ ერთი სტიმული გახდება სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში.

მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ინტეგრირების გზაზეც. ამის მაჩვენებელია ის, რომ უნივერსიტეტმა წელს, თავის პარტნიორებთან ერთად, მოიპოვა 9 ტემპუსის და 3 Erasmus-Mundusis გრანტი, რომლის ფარგლებში როგორც სტუდენტები, ასევე აკადემიური პერსონალი გაივლის სტაჟირებას უცხოეთის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ფიზიკის დეპარტამენტის თანამშრომლების ჯ. ბერიძის, თ. ბერიძისა და სხვათა მიერ მოპოვებული ტემპუსის გრანტის ფარგლებში მოეწყობა ფიზიკის თანამედროვე, ხოლო უნივერსიტეტის ძალისხმევით სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით საბუნებისმეტყველო და სამედიცინო მიმართულებით სასწავლო ლაბორატორიები. გამყარდა ურთიერთობები თურქეთისა და ნორვეგიის უნივერსიტეტებთან, რისი დასტურიც გახლავთ ჩვენი სტუდენტების მივლინება ამ ქვეყნებში როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი სასწავლო კურსებისა და სასწავლო პრაქტიკის გასავლელად. ამავე წელს ჩვენთან სტუმრად იმყოფებოდნენ ნახჭევანის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებმაც ათდღიანი სასწავლო პრაქტიკა გაიარეს საბუნებისმეტყველო, ტურიზმისა და არქეოლოგიის მიმართულებით, ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ჩვენი უნივერსიტეტის საერთაშორისო ასპარეზზე გასვლას.

უკვე რამდენიმე წელია ბათუმის უნივერსიტეტი საერთაშორისო კონფერენციების გამართვის ცენტრად იქცა. ამას დაემატა ისიც, რომ ჩვენთან ტრადიციად დამკვიდრდა საზაფხულო სკოლების ჩატარება. გასულ სასწავლო წელს ვუმასპინძლეთ ქართველოლოგიის, ქართულ-ჩერქეზულ, იულიხის, დაადის საზაფხულო სკოლებს.

უნივერსიტეტი ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც მუდმივ განახლებას, სწავლებაში სიახლეების დანერგვას მოითხოვს. გამონაკლისი არც წლევანდელი წელი იქნება. 2012-2013 სასწავლო წლისათვის განსაკუთრებული აქცენტები სწავლისა და სწავლების ხარისხზე გაკეთდება. გაიზრდება მოთხოვნები, როგორც სტუდენტების, ასევე პროფესორ-მასწავლებლების მიმართ. დაწესდება სტუდენტის მიერ მეცადინეობების გაცდენების ზღვარი, რომელიც შეიძლება გახდეს სტუდენტის სტატუსის შეჩერების მიზეზი. დასკვნითი გამოცდის ჩაბარება კრედიტის ათვისების აუცილებელი პირობა გახდება. გამოცდისათვის განკუთვნილი ქულის მხოლოდ 50-ზე მეტი პროცენტის მიღების შემთხვევაში შედეგი იქნება დადებითი და იგი დაჯამდება. რეიტინგული შეფასებები და გამოცდები ძირითადად ჩატარდება წერით და მას მონიტორინგს გამოცდებისა და უნარ-ჩვევების ცენტრი გაუწევს.

აკადემიური პერსონალის მონაწილეობით გაგრძელდება სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგი. გამოცდილების გაზრდისა და გაზიარების მიზნით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ევროპისა და ამერიკის წამყვანი უნივერსიტეტებიდან მოიწვევს ცნობილ პროფესორებს სწავლების ყველა საფეხურზე ლექციების ჩასატარებლად. გარდა ამისა ხანგრძლივი თანამშრომლობის რეჟიმით სალექციო კურსების წასაკითხად სხვადასხვა მიმართულებაში მოწვეული იქნებიან საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მეცნიერები.

სწავლების ხარისხის ამაღლებასთან ერთად მიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ორგანიზების, სტუდენტთა მომსახურებისა და ადმინისტრირების გაუმჯობესება. ამ მიზნით მიმდინარე სასწავლო წელს დაინერგება ე.წ. ერთი ფანჯრის პრინციპი და უნივერსიტეტის მართვის ელექტრონული პროგრამა ე.წ. „ელექტრონული უნივერსიტეტი“, რაც გაუმარტივებს სტუდენტს ინფორმაციის მოპოვებასა და სასწავლო პროცესის ოპტიმალურად დაგეგმვას.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ყოველთვის ზრუნავდა სტუდენტის თავისუფალი დროის რაციონალურად და სწორად გამოყენებაზე, რისი დასტურიც ჩვენთან მოქმედი კულტურული და სპორტული წრეები გახლავთ. ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით წელს დასრულდება უნივერსიტეტის სასპორტო დარბაზის კეთილმოწყობა.

ჩვენ ძალიან დიდი გეგმები და ამბიცია გვაქვს, შევინარჩუნოთ და გავაძლიეროთ ჩვენი უნივერსიტეტის სტატუსი არა მარტო ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. ამის მიღწევა კი რუდუნებითა და თითოეული ჩვენგანის თავდაუზოგავი შრომით შეიძლება. მხოლოდ სტუდენტებთან თანამშრომლობით შევძლებთ დავძლიოთ ახალი გამოწვევები და წლობით შევინარჩუნოთ მოტანილი ღირსება.

დასასრულ, მინდა თითოეულ პირველკურსელს მივულოცო სტუდენტობა და ვუთხრა, რომ მათ ახალი, საინტერესო ცხოვრება ელით, რომელიც გარჯასა და გულმოდგინებას მოითხოვს მათგან. აქ გატარებული წლები იქცევა მათი მომავალი წარმატებული ცხოვრების საძირკვლად.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

ალ. ბაკურიძე

ტურიზმის დეპარტამენტი

ფაკულტეტის ძირითადი სასწავლო-აკადემიური და სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულია ტურიზმის დეპარტამენტი, რომელიც თავის მხრივ აერთიანებს რამდენიმე მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამას და რომლის საქმიანობა წარიმართება დარგის აკადემიური და დამხმარე პერსონალის მეშვეობით. საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ტურიზმის ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში პროფესიული განათლების, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო აკადემიური პროგრამების განხორციელება, ასევე სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმართვა.

დეპარტამენტის აკადემიურ პერსონალს შეადგენს კონკურსის წესით არჩეული 1 სრული, 2 ასოცირებული და 3 ასისტენტ პროფესორი. დეპარტამენტში მოწვეულნი არიან დარგის მოწინავე პროფესორები, პროფესიონალი პრაქტიკოსები და უცხოელი სპეციალისტები. დღეისათვის მოწვეული გვყავს და ფაკულტეტზე პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ოთხი უცხოელი სპეციალისტი.

ტურიზმის დეპარტამენტი ინტენსიურად მუშაობს უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელთან და სხვა საერთაშორისო სასწავლო-საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან მომავალი თანამშრომლობის გასაღრმავებლად. აქტიურად არის ჩართული და ახორციელებს გაცვლით პროგრამებს უცხოეთის არაერთ უმაღლეს სასწავლებელთან. კერძოდ, ტელემარკისა (ნორვეგია) და ებერსვალდის უნივერსიტეტებთან (გერმანია), ჰამბურგის ევროპის ბიზნეს-კოლეჯთან (გერმანია). გაფორმებული მემორანდუმების საშუალებით უკვე ამოქმედდა ერთობლივი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამები, ინოვაციებისა და სამეწარმეო სწავლების სფეროში შემუშავებულია კურიკულუმი.

დეპარტამენტი დღენიადაგ ზრუნავს იმისათვის, რომ ყველა პირობა შექმნას კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მოსამზადებლად. კერძოდ, სწავლებაში იყენებს თანამედროვე მენეჯმენტის სისტემას. სასტუმროს მენეჯმენტის მაღალხარისხოვნად სწავლებისათვის შეძენილია სასტუმროების მართვის პროგრამა — კომპანია „Micros-Fidelio"-ს პროგრამული სისტემა „Opera", რითაც სარგებლობენ სასტუმროების ისეთი ცნობილი ბრენდები, როგორებიცაა: „შერატონი", „რედისონი", „ჰილტონი" და სხვა. სასტუმროს მენეჯმენტის თანამედროვე სისტემის სწავლება გათვალისწინებულია ტურიზმის სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამით და მისი მიზანია სასტუმროს ინდუსტრიისათვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება.

სერიოზული პრეტენზია გვაქვს ვიყოთ პირველები. დეპარტამენტის მიზანია სტუდენტებს მივცეთ ტრანსფერული ცოდნა, რათა მათ საზღვარგარეთის ქვეყნებშიც შეძლონ დასაქმება.

ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

მერაბ დიასამიძე

სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას

სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტში სამი პროგრამული მიმართულება — საერთაშორისო ურთიერთობები, ფსიქოლოგია და ევროპისმცოდნეობაა გაერთიანებული, რომელთაგან ეს უკანასკნელი ახალბედაა და სტუდენტთა პირველი ნაკადი წელს მივიღეთ. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აბიტურიენტთა მოთხოვნა ამ სპეციალობაზე საკმაოდ მაღალი იყო, რაც ამ სპეციალობის მზარდი მოზიდულობის ძალით უნდა ავხსნათ. აგრეთვე, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობა დიდი ხანია ისწავლება ჩვენს უნივერსიტეტში, არის პროფესორთა კარგი შემადგენლობა და ამ სპეციალობის კურსდამთავრებულები ყველგან მოწონებას იმსახურებენ, თუმცა წელს ამ სპეციალობაზე მიღება არ განხორციელებულა, მიუხედავად იმისა, რომ სპეცილობის პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია.

ფსიქოლოგია შედარებით ახალი სპეციალობაა ჩვენს უნივერსიტეტში. მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიაში ამ სპეციალობის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება გვექნება. კარგად არის ცნობილი, რომ ამ სპეციალობაზე საკმაოდ დიდი კონკურსია ყოველთვის. ამის მიუხედავად ეკონომიკური მიზანშეწონილობის საწინააღმდეგოდ ჩვენ არ ვზრდით ამ სპეციალობაზე სტუდენტთა მისაღებ კონტიგენტს. ვფიქრობთ, რომ ფსიქოლოგიის სპეციალობის სპეციფიკურობა, ამ სპეციალობაში თეორიული საფუძვლების სწრაფი განვითარებით, სულ უფრო მეტად პრაქტიკულ მიზნებზე ორიენტირებულობით და უდიდესი პასუხიმგებლობით გამოიხატება, რასაც მომავალი ფსიქოლოგი საკუთარ მხრებზე იღებს. ამ სპეციფიკის გათვალისწინებით იყო განსაზღვრული უნივერსიტეტში მისაღები კონტიგენტი. ცნობილია, რომ ფსიქოლოგის პროფესია, უპირველეს ყოვლისა, გულრწფელობას, ზნეობრივ სიწმინდეს, სინდისიერებას გულისხმობს და ამ მოთხოვნების გადაწყვეტას სასწავლო პროცესში ფსიქოლოგის პროფესიული ეთიკის კურსის შემოტანამ უნდა შეუწყოს ხელი. ძალიან მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიის სპეციალობაში საკუთარი თავის სრულყოფილი მართვის უნარი. ყველა სხვა სპეციალობისაგან განსხვავებით აქ პიროვნული ღირსება, აზროვნების ლოგიკურობა, და ძალიან სუსტი, მაგრამ არაჩვეულებრივად მნიშვნელოვანი ქცევისა და მეტყველების ფსიქოლოგიური თავისებურებების, ნიუანსების წვდომა განაპირობებს მიზანმიმართულ, ფსიქოლოგიურად გამართლებულ და სასიკეთო შედეგის მიღწევის ჩვეულებრივ ფაქტორს. იმისათვის კი, რათა ასეთი ჩვეულებრიობა რეალობად იქცეს საჭიროა დიდი გულმოდგინება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი მცდელობა დავეუფლოთ ფსიქოლოგის სპეციალობას უნაყოფო იქნება. ნაწილობრივ ამ პრობლემის გადაწყვეტას უნივერსიტეტი სწავლების მეოთხე კურსზე სპეციალური კვლევითი პროექტის შემოტანით ცდილობს, რომლის შესრულება სტუდენტს საშუალებას აძლევს სწავლის პროცესში მიღებული ცოდნა, არა მხოლოდ პრაქტიკულად განახორციელოს, არამედ აგრეთვე თეორიული და შეძენილი პრაქტიკული უნარ - ჩვევების შედეგები კონცენტრირებულად, შესაბამისი მოთხოვნების თანახმად ფსიქოლოგიური პროექტის შესრულებაში გამოხატოს. ასეთი გამოცდილება კი სტუდენტს მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სადიპლომო ნაშრომის მაღალ დონეზე მომზადებაში. უნივერსიტეტი მთელ მის ადამიანურ და მატერიალურ რესურსს იყენებს სრულფასოვანი ფსიქოლოგების აღსაზრდელად. ამ თვალსაზრისით შესაბამისი პირობები უნივერსიტეტს გააჩნია, ფსიქოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები შესაბამისობაშია მოყვანილი წამყვანი უნივერსიტეტების ფიქოლოგიის სპეციალობის პროგრამებთან, რომლებიც, ამავე დროს, სისტემატურად განიცდიან სრულყოფას, მაგრამ, რა თქმა უნდა, მაინც მთავარია სტუდენტის მონდომება, აქტიურობა და დაუზარელი მუშაობა, რაც ყველა სხვა ფაქტორზე უფრო მნიშვნელოვანია და ის არის წარმატების უმთავრესი საწინდარი.

დასასრულს, ახალი, 2012-2013 სასწავლო წლის დაწყება მინდა მივულოცო უნივერსიტეტის როგორც აკადემიურ პერსონალს, ასევე ადმინისტრაციის თანამშრომლებს, სტუდენტებს, განსაკუთრებით კი პირველკურსელებს. წარმატებულ სასწავლო წელს და ახალ-ახალ გამარჯვებებს ვუსურვებ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი

გურამ ჩაგანავა

სამართალმცოდნეობის დეპარტამენტი გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას

— უპირველესად ახალი სასწავლო წელი მინდა მივულოცო ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს. განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით კი ჩვენს უნივერსიტეტში ჩარიცხულ პირველკურსელებს უნდა მივულოცო თანამედროვე ქართულ სინამდვილეში ერთ-ერთ წარჩინებულ უნივერსიტეტში ჩარიცხვა და ვუსურვო მათ ჩვენი უნივერსიტეტის ღირსების დაცვა-განმტკიცება და მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა მის განვითარებაში.

— ახალი სასწავლო წლისთვის მზადების ორ ფაზას განვასხვავებდი პასიურს და აქტიურს. ახალი სასწავლო წლისთვის პასიურ მზადებას ფაქტობრივად გასული სასწავლო წლიდან შევუდექით: განვსაზღვრეთ მისაღები კონტინგენტი; დავხვეწეთ საგანმანათლებლო პროგრამა; გავაკეთეთ პროფესორ-მასწავლებელთა დატვირთვის მონახაზი და სხვა. რაც შეეხება ახალი სასწავლო წლისთვის მზადების აქტიურ ფაზას, მიმდინარე წლის 20 აგვისტოდან დავიწყეთ პროგრამის ხელმძღვანელთან და დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად ვახორციელებთ შემდეგ საქმიანობას: საბოლოო სახეს ვაძლევთ აკადემიური პერსონალის დატვირთვებს; ვადგენთ საათობრივი ანაზღაურების წესით წასაკითხ და საკონკურსოდ გამოსატანი საგნების ნუსხას; კიდევ ერთხელ ვამოწმებთ რამდენად ზუსტად აისახა საგანმანათლებლო პროგრამაში, მისი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, შეტანილი ცვლილებები სილაბუსებსა და სასწავლო გეგმაში; ვხვეწთ სილაბუსების ცალკეულ კომპონენტებს; ვეცნობით ჩვენი პროგრამით გათვალისწინებული საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო დისციპლინების სილაბუსებს იმ მიზნით, რომ გავარკვიოთ რამდენად ითვალისწინებენ ისინი ჩვენი სპეციალობის თავისებურებებს და შესაბამისად, რამდენად აჰყავთ მათ ჩვენი სტუდენტები ჩვენი პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებზე და სხვა.

— რა სიახლეებს სთავაზობთ სტუდენტებს?

— უპირველესი სიახლე ის იქნება, რომ ახალი სასწავლო წლიდან, მიმართულებების მიხედვით, თითო საგანში მაინც, სტუდენტებს ლექციები გვინდა შევთავაზოთ ინგლისურ ენაზე. ლექციებს წაიკითხავენ ქართველი სპეციალისტები, რაც საშუალებას მოგვცემს გაუგებარი ტერმინისა თუ ფრაზის შესატყვისი ქართულ ენაზე მოვიშველიოთ. უცხოენოვანი კურსების მიზანია სტუდენტები შეაჩვიონ უცხოენოვან სპეციალურ გარემოს და სპეციალური უცხო ენის დაუფლებას შეუწყოს ხელი; ასევე გვინდა სტუდენტებს კურიკულუმის გარეთ წავუკითხოთ რამდენიმე საგანი; გვსურს სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე შევქმნათ სტუდენტური კლუბი, რომელიც სტუდენტების რელიგიურ, ესთეტიკურ, ზნეობრივ და სხვა სახის ზოგადი ღირებულებების განვითარებაზე იზრუნებს; სიახლეა ისიც, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ძალისხმევით, ყველა დიდ აუდიტორიაში დამონტაჟდა პროექტორი, რაც გააიოლებს ლექციების გადაცემასა და მათ გაგებას, ასევე უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ძალისხმევით იცვლება გათბობის სისტემა, რაც სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის თბილი ზამთრის შესაბამისად, ზამთარში სწავლა-სწავლების კარგი წინაპირობაა და სხვა. ბევრი სიახლე უშუალოდ მუშაობის პროცესში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობით დაიბადება და განხორციელდება. ასე რომ, ჩვენ მზად ვართ და ველოდებით სტუდენტებს ახალი სასწავლო წლის დასაწყებად.

იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი,

სრული პროფესორი

მურმან გორგოშაძე

აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტი გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას

დღეს აგრარული სექტორის განვითარება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება, ქვეყანას, განსაკუთრებით კი რეგიონებს, აკლია აგრარული კადრები. ამასთანავე ცნობილია, რომ მსოფლიო მოსახლეობის 5-6 პროცენტი ღებულობს აგრარულ განათლებას, საქართველოში ამ სფეროში მუდმივად დასაქმებული მოსახლეობიდან 60-70 ათასი უმაღლესი და პროფესიული განათლების მქონეა, ჩვენი ფაკულტეტი და შესაბამისად აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტი ყველაფერს აკეთებს, რათა თავისი წვლილი შეიტანოს ამ პრობლემის გადაწყვეტაში. დეპარტამენტში მოქმედებს სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს პროგრამული აკრედიტაცია. ამ პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობს ორი სრული, ოთხი ასოცირებული და სამი ასისტენტ პროფესორი, მათ შორის საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვანო პაპუნიძე.

ფაკულტეტი ჩართულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის მიზნობრივ პროგრამებში. კავშირი აქვს სტუდენთა ურთიერთგაცვლის მიზნით საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებთან, ჩვენი ფაკულტეტიდან რამდენიმე სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა ჩინეთსა და გერმანიაში გაცვლითს პროგრამებში. ფაკულტეტზე ფუნქციონერებს სასწავლო ბაზა, სადემონსტრაციო ნაკვეთები, სათბური, საფუტკრე და სხვ. აუცილებელია კიდევ უფრო გაღვივდეს ინტერესი აგრარული განათლების მიღებისა, რაც ამ სექტორის განვითარებას შეუწყობს ხელს.

აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლები გილოცავთ ახალ 2012-2013 სასწავლო წლის დაწყებას. ვულოცავთ ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხულ ყველა პირველკურსელს, ვუსურვებთ ბედნიერ, ხალისიან და შინაარსიან სტუდენტობას.

აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი

დარეჯან ჯაში

განათლება – ქვეყნის განვითარების საწინდარი

პირველ რიგში მინდა მივულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება ჩვენს მოსწავლეებს, სტუდენტებს, ლექტორ-მასწავლებლებს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ნაყოფიერ და მიღწევებით აღსავსე სასწავლო წელს.

განათლება საწინდარია ოჯახის კეთილდღეობისა და ქვეყნის განვითარებისა. ამიტომ, ჩვენი პრიორიტეტია ავამუშავოთ ისეთი პროგრამები, რომელიც ხელს შეუწყობს განათლების ხელმისაწვდომობასა და ხარისხის ზრდას. ამ მიმართულებით ვახორციელებთ შემდეგ პროგრამებს:

1.განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შენობების რეაბილიტაცია, რაც დღემდე ეტაპობრივად ხორციელდება. სულ აჭარაში 229 საჯარო სკოლაა. 2004 წლიდან აქტიურად მიმდინარეობს მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამა. სულ რეაბილიტირებულია და აშენდა 172 საჯარო სკოლა, რაც საჯარო სკოლების საერთო რაოდენობის 75 % შეადგენს.

აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების მშენებლობისა და რეაბილიტაციის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში 2012/2013 სასწავლო წლისათვის სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება 8 საჯარო სკოლას, მშენებლობა-ერთს. ასევე, ნაწილობრივ რეაბილიტაცია უტარდება 4 საჯარო სკოლას. მიმდინარეობს და 2013 წელს დასრულდება ქობულეთის №1 საჯარო სკოლის მშენებლობა.

• ხულოს მუნიციპალიტეტში სრული რეაბილიტაცია უტარდება ღურტის საჯარო სკოლას. დასრულდება ქედლების საჯარო სკოლის მშენებლობა. ნაწილობრივი რეაბილიტაცია უტარდება სხალთისა და წაბლანის საჯარო სკოლებს.

• შუახევის მუნიციპალიტეტში სრული რეაბილიტაცია უტარდება ნიგაზეულის, ნენიისა და უჩამბის საჯარო სკოლებს.

• ქედის მუნიციპალიტეტში რეაბილიტაცია უტარდება დოლოგანის და კოკოტაურის საჯარო სკოლებს.

• ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სრული რეაბილიტაცია უტარდება ზედა თხილნარის საჯარო სკოლას.

• ქობულეთის მუნიციპალიტეტში სრული რეაბილიტაცია უტარდება ქაქუთის საჯარო სკოლას, მიმდინარეობს ქობულეთის №1 საჯარო სკოლის მშენებლობა.

• ქ.ბათუმის №25 და №28 საჯარო სკოლებს უტარდება ნაწილობრივი რეაბილიტაცია.

2012 წელს აჭარის მთავრობის მიერ საჯარო სკოლების რეაბილიტაცია-მშენებლობის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში გამოყოფილია: 4 262 400 ლარი;

2. 2011 წლიდან ამოქმედდა და გრძელდება პროგრამა „ვასწავლოთ მომავალი წარმატებისათვის“, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევავსოთ მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების სკოლებში არსებული პედაგოგთა ვაკანსიები.

2011-2012 სასწავლო წლისათვის ვაკანსიები იყო გამოცხადებული მხოლოდ ინგლისური ენის მასწავლებლების თანამდებობებზე და 2011-2012 სასწავლო წლებში პროგრამის ფარგლებში დასაქმებული იყო 14 (თოთხმეტი) ინგლისური ენის პედაგოგი მაღალმთიანი აჭარის მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო). 2012-13 სასწავლო წლისათვის პროგრამაში შევიდა ცვლილებები, კერძოდ, ვაკანსიები გამოცხადდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო საგნებში.

წელს, „ვასწავლოთ მომავალი წარმატებისათვის“ პროგრამის ფარგლებში, კონკურსის შედეგად შეირჩა 24 პედაგოგი: ინგლისურ ენაში, ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნებში, რომლებიც ახალი სასწავლო წლიდან დაიწყებენ მუშაობას მაღალთიანი აჭარის საჯარო სკოლებში არსებულ ვაკანსიებზე.

3. აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების სასკოლო ფორმებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში 4 000-მდე პირველკლასელს გადაეცემა საჩუქრად სასკოლო ფორმა. პროგრამის ბიჯეტი 250 000 ლარი. წელს სასკოლო ფორმის 3 ესკიზი შედგენილია ცნობილი დიზაინერის გვანცა ჯანაშიას მიერ.

4. აჭარის ყველა საჯარო სკოლის პირველკლასელი მიიღებს საბავშვო სასწავლო პორტატულ კომპიუტერს.

5. აჭარის ყველა სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების მოსწავლეები მიიღებენ სახელმძღვანელოებს.

6. „მომავლის კლასი“ გაიხსნება ქ. ბათუმის №2 და №8 საჯარო სკოლებში.

7. სასკოლო ინვენტარი გადაეცემა რეაბილიტირებულ საჯარო სკოლებს.

8. აჭარის მთავრობის ინიციატივით, აჭარის ა.რ. განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტრომ აამოქმედა სტუდენტების დახმარების მიზნობრივი პროგრამა.

„სტუდენტების დახმარების მიზნობრივი პროგრამა“ ითვალისწინებს შემდეგი კატეგორიის სტუდენტების დაფინანსებას: სტუდენტები მაღალმთიანი მუნიციპალიტეტებიდან - ქედა, შუახევი, ხულო; დედით ან მამით ობოლი, უდედმამო; მრავალშვილიანი ოჯახის წევრი: სამი ან მეტი შვილი; სოციალურად დაუცველი: 100 000 ქულა ან ნაკლები. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება 200-ზე მეტი სტუდენტი.

მნიშვნელოვანია, რომ წელს ყველა სტუდენტი მიიღებს სახელმწიფო დაზღვევას. ასევე, მოქმედებს სტუდენტური დასაქმების პროგრამა.

9. წელს პირველად, სასერტიფიკაციო გამოცდებზე გასასვლელად ერთწლიანი სტაჟი აღარ იყო სავალდებულო. აჭარაში სასერტიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობისათვის დარეგისტრირდა 2721 მასწავლებლობის მსურველი (მათ შორის 2582 მოქმედი მასწავლებელი). მათ ჰქონდათ შესაძლებლობა მიეღოთ მონაწილეობა გადამზადების პროგრამაში, რომელიც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა განახორციელა. წელს პროფესიულ უნარებთან ერთად გამოცდები ჩატარდა შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია, ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა, მათემატიკა, უცხო ენა, სამოქალაქო თავდაცვა და დაწყებითი კლასები.

აჭარაში ამ პერიოდისათვის სერტიფიცირებულია 905 პედაგოგი.

10. ახალი სასწავლო წლიდან აჭარაში ორი მასწავლებელთა სახლი გაიხსნება, ქ. ბათუმსა და ხულოში, რომელიც აჭარის მასშტაბით ყველა საჯარო სკოლის პედაგოგს მოემსახურება.

11. 2011-2012 სასწავლო წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დაფინანსებით და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით განხორციელდა საჯარო სკოლებში საგნის/საგნების სპეციალიზირებულად სწავლების ხელშეწყობის პროგრამა.

პროგრამის ფარგლებში გაიხსნა ბათუმის №4 საჯარო სკოლაში ინგლისური ენის და ბათუმის №6 საჯარო სკოლაში ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების ჯგუფები.

საქართველო, როგორც ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა, ენობრივად და კულტურულად მრავალფეროვან სივრცეში შევიდა. უცხოური ენების ცოდნის გარეშე შეუძლებელია ამ სივრცეში ინტეგრირება და საკუთარი პიროვნული შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზება.

2012 წელს ქ. ბათუმის #6 საჯარო სკოლაში გაიხსნება ფიზიკა-მათემატიკის გაძლერებულული სკოლა.

12. აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიზანია ხელი შეუწყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა საზოგადოებაში ინტეგრაციასა და მათთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას. ამ მიზნით აჭარის მთავრობის მიერ ფინანსდება სსიპ ქალაქ ბათუმის N6 საჯარო სკოლა.

აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებს სკოლა პანსიონების დაფინანსებას. აჭარის ადმინისტრაციის ტერიტორიაზე 4 სკოლა-პანსიონსი სწავლობს 427 მოსწავლე, სკოლებს დამატებით აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოეყოფათ 677 300 ლარი. მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან ბინითა და კვებით.

13. 2011 წელს აჭარის მთავრობის ინიციატივით დაფუძნდა ა.(ა).ი.პ. აჭარის განათლების ფონდი, რომლის მიზანია საზოგადოების სოციალური მხარდაჭერა. ასევე, იმ პროექტების განხორციელება, რომლებიც მიმართულია საზოგადოების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

განათლების ფონდში ამ პერიოდისათვის მიმდინარეობს ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენების სწავლება. ასევე, ტოეფელის გამოცდისთვის მოსამზადებელი უფასო კურსები. სულ ბათუმში სწავლებას ამ ეტაპისთვის გადის 1000 მსმენელი, ხოლო აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტში არსებულ ცენტრებში სწავლობს 1 000-დე მსმენელი.

ბოლო პერიოდში გაიზარდა უცხო ენების შემსწავლელ პირთა მსურველთა რაოდენობა. საერთაშორისო ორგანიზაცია „თიკას“ მხარდაჭერით რეაბილიტაცია ჩაუტარდა განათლების ფონდის შენობის პირველ და მესამე სართულს, სადაც უფრო მეტ მსმენელს შეეძლება გაიაროს კურსები. ასევე, მუნიციპალიტეტებში დაემატა კომპიუტერების სწავლების კურსები.

14. შრომის ბაზრის კვლევებიდან გამომდინარე, მოსახლეობის დასაქმების მიზნით მნიშვნელოვანია პროფესიული განათლება და გადამზადების კურსების უზრუნველყოფა.

აჭარაში მოქმედებს ორი პროფესიული განათლების ცენტრი: ქ. ბათუმში სსიპ - პროფესიული კოლეჯი „ბლექსი“ და ქ. ქობულეთში სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“. სასწავლო პროგრამები ისეა შედგენილი, რომ ადამიანს მცირე დროში საშუალება ეძლევა მიიღოს მაქსიმალური ინფორმაცია და ცოდნა. თეორიულ კურსთან ერთად მსმენელს ეძლევა საშუალება ადგილზე გაიაროს პრაქტიკული მეცადინეობა თანამედროვე ტიპის მანქანა- დანადგარებზე.

15. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახოციელებს ტურიზმის განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივ პროგრამას, რომლის მიზანია ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამების საბაზრო და საერთაშორისო სტანდარტებთან ადაპტირება. პროგრამის ფარგლებში გათვალის-წინებულია ტურიზმის ბაზრის კვლევა და საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი ტურიზმის მიმართულებით, ახალი პროგრამების დანერგვა. ტურიზმის ბაზრის კვლევას ახორციელებს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ.

საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად შეარჩია ავსტრიის ზალცბურგის ტურიზმის სკოლისა და ზალცბურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, რომელიც ფლობს გამოცდილებას ტურიზმის განათლებისა და მასპინძლობის მენეჯმენტში და განხორციელებული აქვს წარმატებული საგანმანათლებლო პროექტები სხვადასხვა ქვეყანაში.

პროექტის ფარგლებში ახალი სასწავლო პროგრამები დაინერგება განხორციელდება ქობულეთისა და ბათუმის პროფესიულ ცენტრებში და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

16. აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით მუნიციპალიტეტებში გაიხსნა ახალგაზრდული ცენტრები, რომლის მიზანია ხელი შეეუწყოთ ახალგაზრდებს მიიღონ ინფორმაცია, ჩაერთონ სხვადასხვა პროგრამაში, დაგეგმონ და განახორციელონ სხვადასხვა პროექტი, გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა ადგილობრივ თვითმმართველობის საქმიანობაში.

ასევე, გაიზარდა სპორტისა და ახლგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ღონისძიებათა დაფინანსების ბიუჯეტი, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის ინიციატივების მხარდაჭერას.

17. აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 2006 წლიდან ახორციელებს უცხოეთში სტაჟირების მიზნობრივ პროგრამას, რომლის ფარგლებში 80-ზე მეტმა ახალგაზრდამ წარმატებით გაიარა სტაჟირება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

2012 წელს აჭარის მთავრობის მიერ აღნიშნული პროგრამა დაფინასდა 40 000 ლარით, რომლის ფარგლებში სტაჟირებას გაივლის 15 ახალგაზრდა, აჭარის რეგიონი მიიღებს 2 უცხოელ სტაჟიორს. პროგრამის ფარგლებში ამჟამად სტაჟირებაზე იმყოფება 7 ახალგაზრდა.

სამინისტროში სტაჟირებაში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია გრძელდება. პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს აჭარის ა.რ. ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მცხოვრებ 18-დან 30 წლამდე პირს, რომელსაც აქვს პროფესიული ან უმაღლესი განათლება, ფლობს უცხო ენას და დააკმაყოფილებს სტაჟირების პირობებს.

18. სასწავლო პროცესში გარდა სასწავლო გარემოს შექმნისა, მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლების ხელშეწყობის ერთ-ერთი საშუალება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების წახალისება და წარჩინებული მოსწავლეების წარმოჩენაა, რაც თავის მხრივ, ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და ხელს უწყობს აკადემიური მოსწრებისადმი პატივისცემის ამაღლებას.

ამ მიზნით, პრეზიდენტის ინიციატივით, ხორცილედება წარჩინებულ საბაზო საფეხურის მოსწავლეების კომპიუტერით აჯილდოებენ და საშუალო საფეხურის წარჩინებული მოსწავლეებს მედლით.

წელს აჭარის რეგიონის საჯარო სკოლების 151 მეათეკლასელს გადაეცა პერსონალური კომპიუტერი, ხოლო 2011-2012 სასწავლო წლის აჭარის ადმინისტრაციის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო და კერძო სკოლების 205 წარჩინებულ მოსწავლეს გადაეცა (102-ოქრო და 103- ვერცხლი) მედლები.

ასევე, აჭარის მთავრობის ინიციატივით, აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო მეორე წელია ახორციელებს ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა წახალისების მიზნით საგანმანათლებლო-შემეცნებით ტურებს.

19. აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო მეორე წელია ახორციელებს სასკოლო კლუბების დაფინანსების პროგრამას. სასკოლო კლუბების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების ანალიზმა აჩვენა, რომ გაიზარდა კლუბის მონაწილეთა თვითშეფასება და პასუხისმგებლობის გრძნობა. მოსწავლეებმა ისწავლეს უფროსებთან და თანატოლებთან კონსტრუქციული ურთიერთობა, ჩამოუყალიბდათ ორგანიზაციული ნიჭი და უფრო მეტად ჩაერთნენ სამოქალაქო ცხოვრებაში.

აჭარის მთავრობამ 2012 წელს აღნიშნული პროგრამისათვის გამოყო 35 000 ლარი. პროგრამის ფარგლებში დაფინასება მიიღო 8 კლუბმა.

20. აჭარის ა.რ. განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით წელს აჭარაში პირველად გაიმართა საგნობრივი ოლიმპიადა: ფიზიკაში, მათემატიკასა და ინგლისურ ენაში, მასში 6021 მოზარდი მონაწილეობდა.

ოლიმპიადის მიზანს წარმოადგენს სასწავლო პროცესის სტიმულირება – სრულყოფა, სწავლისადმი ინტერესების გაღვივება, მოსწავლეთა კლასგარეშე მუშაობის წახალისება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე რეფორმის ხელშეწყობა. ასევე, სამართლიანი, ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემის გამოყენებით ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა, მათთვის დახმარების აღმოჩენა და წახალისება;

საჩუქრად ლეპტოპები, წიგნები და დიპლომები ოლიმპიადაში გამარჯვებულმა 14-მა მოსწავლემ მიიღო;

პრიზები გადაეცა იმ 5 გამარჯვებულ სკოლას, რომელიც საგნობრივი ოლიმპიადის შედეგების მიხედვით გამოვლინდა. აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სამინისტრომ მათ 153 დასახელების მხატვრული ლიტერატურა გადასცა. სამადლობელო სიგელები გადაეცათ გამარჯვებული მოსწავლეების პედაგოგებსაც.

21. აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით იმართება ხატვისა და ფოტო კონკურსები, რომლის მიზანს წარმოადგენს ხელოვნების პოპულარიზაცია, ნიჭიერი მოსწავლეების აღმოჩენა, მათი წახალისება და საზოგადოებისათვის გაცნობა.

აჭარის განათლების, კულტურისა
და სპორტის მინისტრი
გია აბულაძე

ახალი სასწავლო წელი დაიწყო

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სასწავლო წელი 17 სექტემბერს იწყება. მიმდინარე წელს უნივერსიტეტმა 1035 პირველკურსელი მიიღო. ახალი სასწავლო წლის დაწყება ახლებურ შემართებასთან ასოციირდება როგორც სტუდენტისთვის, ასევე პროფესორ-მასწავლებლისთვის. შესაბამისად, ფაკულტეტებიც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად ყოველწლიურად ძალისხმევას არ იშურებენ იმისთვის, რომ სასწავლო პროცესს მომზადებულნი შეხვდნენ. გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტის“ ფურცლებიდან მნიშვნელოვანი სიახლეებისა და მოვლენების შესახებ სწორედ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანები საუბრობენ.

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას

„კარგი დასაწყისი ნახევარია საქმისა“ - უთქვამს ანტიკური პერიოდის ბერძენ ფილოსოფოს არისტოტელეს. თუმცა, რასა შორს წავიდეთ, ქართული ანდაზაც იგივეა, როდესაც ვამბობთ, რომ „ავოგვავალ მზეს მაშინვე დაეტყობა, თუ როგორი დღე იქნებაო.“ მაშასადამე, კარგი დასაწყისი მნიშვნელოვანი ფაზაა ნებისმიერი საქმის მომავალი წარმატებისათვის. ცნობილია, რომ ადამიანი დასაწყისში ავლენს განსაკუთრებულ ფსიქოემოციურ დამოკიდებულებას და ცდილობს ყველა ის უმნიშვნელო წვრილმანი აღკვეთოს, რომელმაც რაიმე სახით შეიძლება საქმის წინსვლას ხელი შეუშალოს, მაშინ როდესაც იმავე დამაბრკოლებელ გარემოებაზე მსვლელობისას შეიძლება საერთოდ არ გაამახვილოს ყურადღება. ერთი სიტყვით, საქმის დასაწყისი მნიშვნელოვანია და ეს ძალიან კარგად აქვს გაცნობიერებული ჩვენი ფაკულტეტის თითოეულ წევრს. ისინი ძალასა და ენერგიას არ იშურებენ იმისათვის, რომ მაქსიმალურად მოგბილიზებულნი შეხვდნენ ახალი სასწავლო წლის დაწყებას.

გასული წელი უნივერსიტეტისათვის პროგრამული აკრედიტაციის წელი იყო. ჩვენს ფაკულტეტს სააკრედიტაციოდ უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის - ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის პროგრამები ჰქონდა წარდგენილი. წინა სასწავლო წლის დასაწყისში არსებობდა გარკვეული განცდა და შიში იმისა, რომ ვაითუ ახალ გამოწვევებს, რომელიმე პროგრამამ ვერ უპასუხოს და აკრედიტაცია შეუჩერდესო. თუმცა, მადლობა უფალს და ყველა იმ პირს, ვინც იშრომა იმისათვის, რომ ეს გამოცდა ფაკულტეტს წარმატებით ჩაებარებინა.

ახალ სასწავლო წელს ფაკულტეტი დიდი იმედებით, სიხარულითა და წარმატებით ეგებება, ვინაიდან დღეს ფაკულტეტზე უკვე მოქმედებს აკრედიტებული 8 – საბაკალავრო, 4 – სამაგისტრო და 2 – სადოქტორო პროგრამა. ამასთან, ჩვენს ფაკულტეტზე მოქმედი პროგრამები დიდი მოთხოვნითა და პოპულარობით სარგებლობს საზოგადოებაში მომავალი კადრების აღზრდასადა და დასაქმებაში.

სასწავლო პროცესის წარმართვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მატერიალურ–ტექნიკურ ბაზას. მატერიალურ–ტექნიკური ბაზა პირდაპირ უკავშირდება უნივერსიტეტის ფინანსურ მდგომარეობას, მის შემოსავლებს. ამ კუთხით უნივერსიტეტს მაინც და მაინც სახარბიელო მდგომარეობა არ აქვს. ერთი წლის განმავლობაში მატერიალურ–ტექნიკური ბაზის არსებითი განახლება თითქმის შეუძლებელია. თუმცა, არის მნიშვნელოვანი სიახლეები. კერძოდ, გასულ სასწავლო წელს დაიწყო და მიმდინარე წლისათვის ყველა აუდიტორიაში მთლიანად შეიცვალა მერხები და სკამები, სალექციო აუდიტორიებში სტაციონალურად დამონტაჟდა ვიდეოპროექტორები, დეპარტამენტებისთვის შევიძინეთ სკანერი, შეკეთდა და შეიცვალა გათბობის სისტემა და სხვ. მართალია, ეს ღონისძიებები არ არის საკმარისი ფაკულტეტის მატერიალური–ტექნიკური სრულყოფისათვის, მაგრამ როგორც იტყვიან „სოფელი ერთ დღეზე არ აშენებულა“, ამიტომ უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, აქ მთავარია ტენდენცია ამ პრობლემების შენიშვნისა და მისი აღმოფხვრისა, რაც ნამდვილად შეინიშნება.

მოპოვებული გრანტის საფუძველზე უნივერსიტეტში მოქმედებს ერაზმუს მუნდუსის პროგრამა, რაც უნივერსიტეტის სტუდენტებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში და უფასოდ გაემგზავრონ უცხოეთში სასწავლებლად. ამ პროგრამის ფარგლებში გასულ წელს ჩვენი ფაკულტეტიდან ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში სასწავლებლად წავიდა 3 ბაკალავრი და ერთი მაგისტრი. მიმდინარე წელს იმავე პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობენ ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტები და გამარჯვების შემთხვევაში მათ მიეცემათ შესაძლებლობა ესტუმრონ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ უნივერსიტეტებს.

წინა სასწაულო წლებისაგან განსხვავებით წელს ფაკულტეტის საბჭომ საკმაოდ გაბედული და სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც უარი თქვა აბიტურიენტთა ე.წ. საფაკულტეტო ჩარიცხვაზე. ფაკულტეტზე ჩარიცხული სტუდენტების გადანაწილება კონკრეტულ პროგრამებზე სწავლების პირველი წლის პირველ სემესტრში მიღებული ქულებით ხდებოდა, ანუ სტუდენტი, რომელსაც სურდა, ვთქვათ, ჩვენი ფაკულტეტის ფინანსების სპეციალობაზე მოხვედრილიყო, რომელიც ფაკულტეტის ერთ–ერთი რეიტინგული პროგრამაა, მას ერთიანი ეროვნული გამოცდის გარდა მეორე დაბრკოლებაც უნდა გაევლო, კარგი სწავლით სხვებზე მეტი ქულა უნდა დაეგროვებინა, რომ ამის საფუძველზე ჩარიცხულიყო ფინანსების პროგრამაზე. ვფიქრობთ, ეს არ იყო სამართლიანი, ვინაიდან სტუდენტს ფაკულტეტზე ჩარიცხვის დროს

შესაძლებელია ძალიან სურდა ამ პროგრამაზე ჩარიცხვა, მაგრამ იმის გამო, რომ ვერ ისწავლა მაგალითად სამართალის საფუძვლები, საერთაშორისო ურთიერთობები და სხვა რიგი საგნები, რომლებიც პრინციპში ფინანსების სპეციალისტს თითქმის არაფერში არ სჭირდება (და ისინი მხოლოდ სხვა სპეციალობებზე ჩასარიცხად დაშვების საგნებია), შესაძლებელია ვერ დააგროვოს შესაბამისი ქულები და აღნიშნულ პროგრამაზე ვერ ჩაირიცხოს. მაშასადამე, ამ მეთოდით არსებობდა მაღალი ალბათობა იმისა, რომ სტუდენტს, რომელსაც სურდა ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარების დროს გამოსულიყო ფინანსების სპეციალისტი და ამის არჩევანი იმთავითვე ეროვნული გამოცდების ბარების დროს გააკეთა, აღმოჩნდება, რომ ის სამართალზე ირიცხება და იურისტი უნდა გამოვიდეს ან ევროპის მცოდნეობაზე ირიცხება და სოციალური მეცნიერების სპეციალისტი უნდა გამოვიდეს, ან პირიქით, რაც ვფიქრობ, რომ სწორი არ იყო.

წელს აბიტურიენტთა მიღება კონკრეტული პროგრამების მიხედვით 7 საბაკალავრო პროგრამაზე გამოცხადდა. ამათგან 6 პროგრამა მაღალი კონკურენციის პირობებში დაკომპლექტდა (მაგალითად, სამართალმცოდნეობის პროგრამაზე პირველი ადგილის განაცხადის მიხედვით 4,7 სტუდენტი მოდიოდა ერთ ადგილზე) 100%–ით, ხოლო მარკეტინგის პროგრამაზე, რომელზეც გამოცხადებული იყო 30 ადგილი 17 სტუდენტი ჩაირიცხა, რაც ძირითადად განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ ეს პროგრამა წელს ამოქმედდა და მის შესახებ აბიტურიენტები არ იყვნენ სათანადოდ ინფორმირებულნი. მომავალში ამ პროგრამის საზოგადოებისათვის ფართოდ გაცნობისა და წლევანდელი გამოცდილების გათვალისწინებით იქნება დადგენილი ამ პროგრამაზე ჩასარიცხი კონტინგენტის რაოდენობა, რაც მყარი გარანტი იქნება იმისა, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებისათვის ამ მეტად საჭირო პროგრამამ 100%_იანი დაკომპლექტების პირობით მოამზადოს სათანადო პროფილის პროფესიონალი კადრები.

მას შემდეგ, რაც უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების პირობები შეიცვალა, ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე აბიტურიენტებს საშუალება მიეცათ მხოლოდ ცოდნით, ყოველგვარი კორუფციისა და გარიგებების გარეშე ჩარიცხულიყვნენ მათთვის სასურველ სპეციალობაზე. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ უკვე მერვე წელია ერთიანი ეროვნული გამოცდები წარმატებით მიმდინარეობს და ჩვენც თამამად ვიმეორებთ გრიგოლ ორბელიანის სიტყვებს: „ნიჭს აძლევს მხოლოდ ზენა კაცს და არა გვარიშვილობას“.

ჩვენს ფაკულტეტზე მოქმედი 7 საბაკავლო პროგრამიდან 5 პროგრამა _ სამართალმცოდნეობა, ფინანსები, მენეჯმენტი, საბუღალტრო და საგადასახადო საქმე და მარკეტინგი მხოლოდ 100% პროცენტიანი გრანტით ფინანსდება. სამწუხაროდ, წელს ფაკულტეტზე 100%–იანი გრანტის მფლობელი სტუდენტი არ ჩარიცხულა. რაც შეეხება ევროპისმცოდნეობის და ფსიქოლოგიის პროგრამას, სადაც ყველა სახის სახელმწიფო გრანტის მოპოვება შეიძლება, 70%–იანი გრანტი მოიპოვა სამმა სტუდენტმა, 50%–იანი შვიდმა და 30%–იანი თექვსმეტმა სტუდენტმა. ზოგადად, ეს შედეგი ცუდი არ არის, თუმცა, არც სახარბიელოა. სამომავლოდ ბევრია სამუშაო იმისათვის, რომ ჩვენს ფაკულტეტზე აქცენტი გაკეთონ არა რაოდენობრივად, არამედ ხარისხობრივად კარგი აკადემიური მოსწრების აბიტურიენტებმა, რაც იქნება საფუძველი იმისათვის, რომ გაცილებით მეტი გრანტიანი სტუდენტი ჩაირიცხოს.

ბოლოს კი გულითადად მინდა მიულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება ფაკულტეტის ყველა აკადემიურ პირს, მოწვეულ ლექტორ–მასწავლებლებს, დამხმარე პერსონალს, თითოეულ სტუდენტს და მათ მშობლებს, განსაკუთრებით კი პირველკურსელებს. მათ მინდა ვუსურვო თავდაუზოგავი შრომა, სწავლა და შევახსენო აინშტაინის ცნობილი ნათქვამი, რომ კაცობრიობის განვითარების გრძელ ისტორიაში ებრაელმა ერმა დაამტკიცა, რომ ყველაზე დიდი იარაღი ინტელექტია. ჩვენი ქვეყნის წარმატების, მისი წინსვლისა და გამარჯვების საწყისი და სათავე სწორედ განათლებული მომავალი თაობაა.

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი,

სრული პროფესორი ადამ მახარაძე

ტურიზმის ფაკულტეტი ახალ სასწავლო წელს ახალი სამომავლო გეგმებით ვხვდებით

ახალი სასწავლო წელი ჩვენთვის მუდმივად ახალი გამოწვევებისა და სიახლეების ძიების წელია. დღეს საკმაოდ ახალგაზრდა ფაკულტეტმა ჩვენი მიღწევებით, უკვე შეგვიძლია ვიამაყოთ.

ყველაფერი კი 2 წლის წინ დავიწყეთ, როდესაც აჭარის ა.რ. მთავრობისა და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძალისხმევით ტურიზმის ფაკულტეტი შეიქმნა. გადაწყვეტილების მიღება რეგიონის განვითარების სტრატეგიულმა გეგმამ და ტურიზმის პოტენციალის გაზრდის აუცილებლობამ განაპირობა. იმთავითვე ცხადი იყო ახლად შექმნილი ფაკულტეტის მიზანი - ტურისტული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა და ტურიზმის დარგისათვის მაღალკვალიფიციური, შესაბამისი კომპეტენციების მქონე სპეციალისტების მომზადება. შემუშავდა და დაინერგა თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი საბაკალავრო პროგრამა, სწავლება დაიწყო თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. ლექციების წასაკითხად ადგილობრივ პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მოვიწვიეთ უცხოელი ლექტორები და ექსპერტები. გარდა ამისა, ფაკულტეტმა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად, ინტენსიურად დაიწყო მუშაობა უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან და სხვა საერთაშორისო სასწავლო-საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გასაღრმავებლად.

ფაკულტეტი აქტიურად თანამშრომლობს და გაცვლით პროგრამებს ახორციელებს ტელემარკისა (ნორვეგია) და ებერსვალდის უნივერსიტეტებთან (გერმანია), ჰამბურგის ევროპის ბიზნესკოლეჯთან (გერმანია).

სხვადასხვა უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის საშუალებით უკვე ამოქმედდა ერთობლივი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამები, ინოვაციებისა და სამეწარმეო სწავლების სფეროში შემუშავდება კურიკულუმი.

გაცვლითი პროგრამებით ამაღლდა სწავლების ხარისხი. მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებით და გაიზარდა ტურისტული პოტენციალი. სტაჟირებაგავლილი პროფესორ-მასწავლებლების ძალისხმევით საგანმანათლებლო პროგრამები მთლიანად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

მჭიდრო თანამშრომლობა გვაქვს გერმანიისა და ამერიკის უნივერსიტეტებთან. დღესდღეობით მოწვეული გვყავს და ფაკულტეტზე პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ოთხი სპეციალისტი.

სერიოზული პრეტენზია გვაქვს ვიყოთ პირველები. ჩვენი მიზანია სტუდენტებს მივცეთ ტრანსფერული ცოდნა, რათა შეძლონ საზღვარგარეთის ქვეყნებში დასაქმება.

აქ ყველა პირობაა იმისათვის, რომ მომზადდეს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები. კერძოდ, გამოიყენება თანამედროვე მენეჯმენტის სისტემა. ტურიზმის ფაკულტეტმა, სასტუმროს მენეჯმენტის მაღალხარისხოვნად სწავლებისათვის შეიძინა სასტუმროების მართვის პროგრამა. ეს არის კომპანია ,,Micros-Fidelio”-ს პროგრამული სისტემა „Opera“. ამ სისტემით სარგებლობენ სასტუმროების ისეთი ცნობილი ბრენდები, როგორებიცაა: ,,შერატონი“, ,,რედისონი“, „ჰილტონი“ და სხვა. სასტუმროს მენეჯმენტის თანამედროვე სისტემის სწავლება გათვალისწინებულია „ტურიზმის“ სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამით და მისი მიზანია სასტუმროს ინდუსტრიისათვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება.

შეძენილი გვაქვს რესტორნის მენეჯმენტის პროგრამული სისტემა.

გარდა ამისა, ფაკულტეტზე მოქმედებს ტურისტული სააგენტო -„UNItour”-ი. სტუდენტებს ადგილზე შეუძლიათ დაეუფლონ ტუროპერეიტინგს.

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ახალგაზრდა ვართ უნდა აღინიშნოს, რომ მოთხოვნათა მიხედვით ის, დღეს, ერთ–ერთი ყველაზე კონკურენტუნარიანი ფაკულტეტია საქართველოში. და ეს, რა თქმა უნდა, გვახარებს. გამოცხადებულ 150 ადგილზე პირველადი განაცხადებით თუ ვიმსჯელებთ ჩვენთან სწავლის სურვილი 600 აბიტურიენტმა გამოთქვა. ჯამში მსურველთა რიცხვი 2600 შეადგენდა. ამდენად, მაღალი კონკურენციის პირობებში მხოლოდ პირველმა 150 მოიპოვა სწავლის უფლება. მათგან 75% სხვადასხვა რაოდენობის გრანტითაა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მოტივაცია საკმაოდ მაღალია მომავალ სტუდენტებს შორის.

ფაკულტეტი ჩვეულ რიტმში აგრძელებს ინოვაციურ საქმიანობას და სტუდენტთათვის მაქსიმალურად ცდილობს უზრუნველყოს მომხიბვლელი სასწავლო გარემო.

ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი,

სრული პროფესორი

როსტომ ბერიძე

საინჟინრო–ტექნოლოგიური ფაკულტეტი გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას

საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტმა გასულ სასწავლო წელს ჩაატარა ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი სამუშაოები, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისგან დაკომპლექტებულმა ჯგუფებმა მოამზადეს საგანმანათლებლო პროგრამები, სილაბუსები, თვითშეფასების კითხვარები და სხვა საჭირო დოკუმენტაცია პროგრამული აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფებისათვის. გაწეული მუშაობის შედეგად, საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე წარმატებით გაიარა აკრედიტაცია ოთხმა საბაკალავრო,

სამმა სამაგისტრო და ერთმა სადოქტორო-საგანმანათლებლო პროგრამამ, რაც კიდევ ერთხელ გვინდა მივულოცოთ როგორც საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის თანამშრომლებს, ასევე მთელ უნივერსიტეტს.

გასულ სასწავლო წელს ასევე წარმატებით გაიარა ავტორიზაცია მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის 23-მა პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ.

ფაკულტეტზე მიმდინარეობს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება. აუდიტორიებში სრულად შეიცვალა ავეჯი, ჩატარდა სარემონტო სამუშაოები.

გაცვლითი პროგრამით საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი დოქტორანტი დაბრუნდა საბერძნეთიდან და ამზადებს თემას დაცვისათვის.

2012 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით ძალიან კმაყოფილი ვართ. ფაკულტეტის ოთხივე საგანმანათლებლო პროგრამის აბიტურიენტების მიერ პირველ ნომრად არჩევის რაოდენობის მიხედვით ჩვენთან უკვე შექმნილი იყო საკონკურსო მდგომარეობა, ამიტომ ცხადია, გამოცხადებული ადგილების რაოდენობა სრულად შეივსო.

ამჟამად მიმდინარეობს განაცხადების მიღება სამ სამაგისტრო, ერთ სადოქტორო და მეოთხე საფეხურის შვიდ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

როგორ ზემოთ აღვნიშნეთ, 2012 წლის ეროვნული გამოცდების შედეგები ჩვენთვის არ იყო ცუდი, თუმცა გამოცდებისათვის ამ შედეგების მიღწევას წინ უსწრებდა მთელი რიგი ღონისძიებები, კერძოდ 2012 წლის ეროვნული გამოცდებისთვის უნივერსიტეტმა თავიდანვე დაიწყო სერიოზული მზადება. უნივერსიტეტში რექტორის ბრძანებით შეიქმნა სამოქმედო ჯგუფი, რომელმაც დასავლეთ საქართველოს აბიტურიენტების დიდ ნაწილს გააცნო მათთვის შექმნილი სპეციალური პროგრამები, მოუთხრო უნივერსიტეტის ცხოვრების და იმ სიახლეების შესახებ, რომლებიც უშუალოდ მათთვის შეიძლებოდა ყოფილიყო საინტერესო. ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოს

განსაკუთრებულ დამოკიდებულებას საინჟინრო სპეციალობების მიმართ, რაც გამოიხატა აბიტურიენტებისათვის ერთიან ეროვნულ გამოცდებში ნაწილობრივი გრანტის მოპოვებით. ამ სისტემის მიხედვით, უპირატესობა ენიჭება საინჟინრო მიმართულების სპეციალობებს. ასევე, გასათვალისწინებელია, ჩვენი ფაკულტეტის დიდი ხნის (75 წლიანი) წარმატებული ტრადიციები საინჟინრო კადრების მომზადებაში.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ფაკულტეტის ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე ის არის, რომ ფაკულტეტზე არსებულმა საგანმანათლებლო პროგრამებმა წარმატებით გაიარა აკრედიტაცია, თუმცა ტექნიკისა და ბაზრის ცვალებად მოთხოვნებს ჩვენ სისტემატიურად უნდა ავუწყოთ ფეხი. ამ მიზნით ფაკულტეტზე უცხოელ სპეციალისტებთან ერთად აქტიურად მიმდინარეობს მართვის ავტომატიზირებული სისტემების ახალი თანამედროვე საინჟინრო კომპიუტერული პროგრამის „SAP 2000" დანერგვა. ეს პროგრამა დაფუძნებულია საერთაშორისო სამშენებლო კოდებზე (IBC). ჩვენ ამ მიმართულებით დავიწყეთ მუშაობა და 2012 წლის 20 ივნის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში მომზადებული საერთაშორისო სამშენებლო კოდების _ „შენობის წესები" წარდგენა-განხილვა. ტელეკომუნიკაციის მიმართულებით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად ვაპირებთ თანამედროვე საინჟინრო კომპიუტერული პროგრამის „MATLAB"-ის სწავლების დანერგვას და აკრედიტაციისათვის ვამზადებთ ახალ საგანმანათლებლო პროგრამას - არქიტექტურას.

ფაკულტეტი ასევე აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა კომპანიასთან მემორანდუმის ფარგლებში, რის შედეგად მოხერხდა საკმაო რაოდენობის სტუდენტის დასაქმება. დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ დასაქმების მიზნით თანამშრომლობისათვის შემდეგ კომპანიებს: შპს „აჭარსპეცპროექტი"; შპს „ანაგი"; შპს „მონოლითი 2005"; შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი"; შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი"; კომპანია „ინტერტექ კალებბრეტის" საქართველოს ფილიალი; შპს

„ბათუმის სამშენებლო კომპანია"; შპს „BWC"; შპს „ორბი ჯგუფი"; კომპანია „ბათუმის წყალი"; შპს „ბიემსი გორგია"; კომპანია GIMG, ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი, შპს „ARCH-Style", კომპანია „სილქნეტი" და სხვა კომპანიებს სტუდენტთა დასაქმების პროგრამაში აქტიური მონაწილეობისათვის.

სახელმწიფო დაფინანსება ბაკალავრიატში 12–მა სტუდენტმა მოიპოვა, თუმცა ამის გარდა დღეისათვის უნივერსიტეტში არის სხვადასხვა

სახის სტიპენდია, რომლებიც შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე და მინდა წარმატებები ვუსურვო ყველას, ვინც სტიპენდიის მოსაპოვებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობს.

ცხოვრება თავის ტემპებს და თავის მაღალ კრიტერიუმებს გვთავაზობს. საინჟინრო დარგი საქართველოში სახელმწიფო პრიორიტეტთა რიგშია. შესაბამისად, ჩემი, როგორც ფაკულტეტის დეკანის უპირველესი მიზანია, ყოველგვარი პირობა შევქმნა დარგის განვითარებისათვის, საინჟინრო საგანთა სწავლების მეთოდების გაუმჯობესებისათვის, სტუდენტთა სწავლის პირობების უზრუნველყოფისათვის, კვალიფიცირებული კადრებით ფაკულტეტის შევსებისათვის. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს მხოლოდ გუნდური ძალისხმევითაა შესაძლებელი და რომ უნივერსიტეტის ყოველი ფაკულტეტის კოორდინირებული მუშაობის შედეგად, ყველა დასახული მიზანი დროულად და ხარისხიანად იქნება მიღწეული. დასასრულ, ახალი სასწავლო წლის დაწყებას მივულოცავ ყველას, განსაკუთრებით კი პირველკურსელებს. წარმატებულ და ნაყოფიერ სასწავლო წელს ვუსურვებ ყველა უნივერსიტეტელს.

საინჟინრო–ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი

ბიზო ფარცხალაძე

აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტი გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას

ახალი სასწავლო წლის დაწყებას მივულოცავთ ჩვენი უნივერსიტეტისა და ჩვენი ფაკულტეტის პირველკურსელებს, ყველა სტუდენტსა და თანამშრომელს. დღეს, როდესაც ჩვენი სამშობლო ახალი გამოწვევების წინაშე დგას, ქვეყნის მაშტაბით მიმდინარეობს აღმშენებლობითი პროცესი, დიდია მოთხოვნა კვალიფიციურ კადრებზე. ჩვენი ფაკულტეტი სტუდენტი ახალგაზრდობის

საფუძვლიანად მომზადებისათვის, ყველა შესაძლო რესურსს გამოიყენებს, რაც შესაძლებლობას მოგვცემს აღვზარდოთ კონკურენტუნარიანი სპეციალისტები.

ყველა სპეციალობის სტუდენტები დაიწყებენ სრულყოფილი საგანმანათ¬ლ¬ებლო პროგრამებით, რაც უზრუნველყოფილია კვალიფიციური პრო¬ფე¬ს¬ური¬თა და საგანმანათლებლო რესურსებით. ყველა სტუდენტისათვის სიახლე არის ის, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მათ ყოველდღიურ აქტიურობას. ამასთან, გაზრდილია სასწავლო მასალის მოცულობები, მოთხოვნები და შეცვლილია რეიტინგული შეფასებებისა და გამოცდების ფორმები.

ჩვენ ახალ სასწავლო წელს ვხვდებით დიდი მოლოდინითა და ოპტიმისტური განცდით. წარმატებით გაიარა აკრედიტაცია ფაკულტეტის ყველა საფეხურისა და დონის საგანმანათლებლო პროგრამამ. სასწავლო პროგრამები შედგენილია თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად. მის შედგენასა და დახვეწაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს აკადემიურმა პერსონალმა, სტუ¬დენტებმა, დაინტერესებულმა მხარეებმა - დამსაქმებლებმა, საგანმანათლებლო პროგრამაში დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები გათვალისწინებულ იქნა, როგორც სპეციალობის ძირითადი ნაწილის, ისე დამატებითი და არჩევითი სასწავლო კურსების შერჩევისას.

ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობას ახორციელებს აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის და აგროტექნოლოგიისა და აგროინჟინერიის დეპარტამენტები. ფაკულტეტზე მოქმედებს 5 საბაკალავრო–საგანმანათლებლო პროგრამა. ესენია: აგრონომია, აგროეკოლოგია, სასურსათო ტექნოლოგიები, აგროინჟინერია, მცენარეთა დაცვა და სატყეო საქმე

ფაკულტეტის პრიორიტეტი იყო და არის უპირველეს ყოვლისა, სტუდენტი, მისთვის ხარისხიანი ევროპული ცოდნის მიცემა; სტუდენტისათვის ნორმალური სასწავლო პირობების შექმნა; ახალი ლაბორატორიების მოწყობა; სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესება; აბიტურიენტთა მოზიდვა; ბაზარზე ორიენტირებული ახალი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება; ახალ საგანმანათლებლო პროგრამებში და სალექციო კურსის წასაკითხად უცხოელი სპეციალისტების ჩართვა; უცხოეთის სასწავლო დაწესებულებებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება; სოციალურად დაუცველი წარმატებული სტუდენტებისათვის დახმარება; სასწავლო-საცდელი ბაზის ეფექტურად გამოყენება სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად; საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცება.

გასულ სასწავლო წელთან შედარებით, ფაკულტეტზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სწავლებისა და სწავლის ხარისხი. უმრავლეს შემთხვევაში ლექციები იკითხება თანამედროვე ტექნიკური საშუალებებითა და კომპიუტერული პროგრამებით (პოვერპოიტით); ზოგიერთ სასწავლო კურსში, მის სპეციფიკიდან გამომდინარე ლექცია ასევე იკითხება საველე პირობებშიც. კომპიუტერული ტექნიკით აღიჭურვა 2 აუდიტორია, რაც სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს მისცემს საშუალებას შეუფერხებლად ინტერნეტით მოიპოვონ მათთვის საჭირო ინფორმაცია. კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ გამოინახა სახსრები მცენარეთა დაცვისა და აგროეკოლოგიის ლაბორატორიისათვის დანადგარ-მოწყობილობების შესაძენად.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე, აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტმა არაერთ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლა. დამყარდა საქმიანი ურთიერთობები უცხოეთის სხვადასხვა სასწავლო და კლევით დაწესებულებასთან, განსაკუთრებით აქტიურ ფაზაში შევიდა სამეცნიერო–პედაგოგიური თანამშრომლობა მეზობელი თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ართვინის ,,ართვინ– ჭოროხის უნივერსიტეტთან''. ამ უნივერსიტეტის 2 პროფესორი - აქტიურად მონაწილეობს. ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების განხორციელებაში, არიან 2 დოქტორანტის თანახელმძღვანელები. მათ ანაზღაურების გარეშე ორჯერ თითო კვირით დოქტორანტებს წაუკითხეს სალექციო კურსი ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემებზე. მჭიდროა ჩვენი თანამშრომლობა სამეცნიერო პროდუქციის ურთიერთგაზიარების თვალსაზრისითაც. ისინი ყოველწლიურად უფასოდ აქვეყნებენ ჩვენი პროფესორ– მასწავლებლების 10-ზე მეტ სტატიას;

ერთგვარად გაუმჯობესდა ხარისხის სამსახურის, დეპარტამენტების და კურიკულუმის კომიტეტის მუშაობა. მოქმედებს კურატორთა ინსტიტუტი, მათი დახმარებით უშუალო კონტაქტი გვაქვს სტუდენტთა მშობლებთან.

ფაკულტეტი საუნივერსიტეტო ცხოვრების აქტიური თანამონაწილეა, რამაც ასახვა ჰპოვა საშემსრულებლო დისციპლინის გამტკიცებაში. თითქმის აღმოიფხვრა ლექტორისა და სტუდენტის საუდიტორიო მეცადინეობაზე დაგვიანებით შესვლის ფაქტები, ასევე ტექნიკური მუშაკების სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება. ვურჩევთ სტუდეტებს სპეციალობის სასწავლო კურსებთან ერთად უცხო ენის დამატებით შესწავლასაც, რამაც მოგვცა შესაძლებლობა მათი გაგზავნისა უცხოეთის სასწავლო დაწესებულებებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

პროფესურასა და სტუდენტებს აქვთ საშუალება გამოიყენონ ფაკულტეტის სასწავლო-საცდელი ბაზა სამეცნიერო თემატიკიდან გამომდინარე კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად. ახალი

მოთხოვნებიდან გამომდინარე ცვლილებები იქნა შეტანილი 3 სადოქტორო პროგრამაში;

გასულ სასწავლო წელს მომზადდა ახალი პროგრამები : 1 სადოქტორო (აგროეკოლოგია, მცენარეთა დაცვა); 1 სამაგისტრო (აგრარული ტექნოლოგიები); 1 საბაკალაურო (სასურსათო ტექნოლოგია); 13 მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამა.

ფაკულტეტი მზადაა ახალ სასწავლო წლისათვის სტუდენთთა მისაღებად 3 მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებზე (ვეტერინარია, მემცენარე, მეტყევე). აღსანიშნავია ისიც, რომ სტუდენტები დამატებით სპეციალობად მხოლოდ ჩვენი ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს ირჩევენ. განახლდა ფაკულტეტის საბჭოსა და სადისერტაციო საბჭოს დებულებები.

ფაკულტეტის კვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლების სამეცნიერო საქმიანობა აისახა ბეჭდურ გამოცემებშიც-გამოქვეყნდა 60–ზე მეტი სამეცნიერო სტატია, 2 სახელმძღვანელო, 3 მონოგრაფია, 4 მეთოდური მითითებანი ფერმერებისთვის. უნივერსიტეტის სახელით წარდგენილია 3 საგრანტო პროექტი.

სტუდენტთა პროფესიული ცოდნის ასამაღლებლად მარტო გასულ წელს ფაკულტის 4-მა სტუდენტმა ერთთვიანი სტაჟირება გაიარა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში; 2–მა ერთვიანი სტაჟირება – ჩინეთში, 1–მა – 6 თვიანი სტაჟირება – გერმანიაში, ასევე 1–მა - ტეხასის უნივერსიტეტის სომხეთის ფილიალში; ორმა დოქტორანტმა 10–10 დღით – ართვინ ჭოროხის უნივერსიტეტში.

ფაკულტეტის ხელშეწყობით ჩვენი სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული და სხვა სახის საუნივერსიტეტო ღონისძიებებში (საუნივერსიტეტო პირველი ადგილი მოიპოვეს კავეინში, საპრიზო ადგილები კლავჭიდში, რაგბში და სხვ.). ფაკულტეტი ზრუნავს სოციალურად დაუცველი წარმატებული სტუდენტის დაფინანსებისათვის.

ახალი სასწავლო წლისათვის შეუფერხებელი სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ფაკულტეტი მოლაპარაკებას აწარმოებს ქალაქ ბათუმის მერიასთან, რათა ყოველდღიურად სტუდენტთა მგზავრობა დილითა და სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ განვახორციელოთ ორგანიზებულად და შეღავათიან ფასებში.

კიდევ ერთხელ მინდა მივულოცო ყველა სტუდენტს ჩვენს ცოდნის ტაძარში-შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო წლის დაწყება, ვუსურვოთ მუყაითი სწავლა და აქედან გამომდინარე, შთამბეჭდავი წარმატებები.

ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი

ო. შაინიძე

განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახალ 2012-2013 სასწავლო წლის მოლოდინშია. უნივერსიტეტთან ერთად ამ სასწავლო წელს სიამაყით ხვდება განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა საფეხურის რამდენიმე მიმართულების 43 საგანმანათლებლო პროგრამას. ფაკულტეტზე სულ 2572 სტუდენტი სწავლობს.

უნივერსიტეტთან ერთად გასული სასწავლო წელი წარმატებული იყო ჩვენი ფაკულტეტისთვისაც. ავტორიზაცია/აკრედიტაციაზე წარდგენილმა ყველა პროგრამამ წარმატებით გაიარა ეს პროცესი და წლევანდელი პირველკურსელები სწორედ ამ აკრედიტებულ პროგრამებზე ჩაირიცხნენ, რისი წარმატებით დასრულებაც მათი ღირსეული მომავლის საწინდარი გახდება.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან ერთად მნიშვნელოვანია ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების მიღწევები სამეცნიერო სფეროში. ფაკულტეტის თანამშრომლების მიერ 2011-2012 სასწავლო წელს გამოიცა 7 მონოგრაფია, 5 სახელმძღვანელო, 234 სამეცნიერო ნაშრომი, ხოლო 17 სახელმძღვანელო მზად არის გამოსაცემად. პროფესორ-მასწავლებლებმა გასულ სასწავლო წელს მონაწილეობა მიიღეს 211 საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციაში, 17 საგრანტო პროექტში, სამეცნიერო ფონდებში წარდგენილია 21 საგრანტო პროექტი, უცხოეთში სტაჟირებასა და გაცვლითს პროექტებში მონაწილეობა მიიღო 25-მა პროფესორ-მასწავლებელმა და 19-მა სტუდენტმა.

განათლებისა და კვლევის საერთაშორისო დონეზე ინტეგრაციის მიზნით ფაკულ–ტეტზე სხვადასხვა მიმართულებით დაგეგმილია, როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის უნივერსიტეტებთან ერთად, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება. წელს პირველად გამოცხადდა მიღება განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც ილიას უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში ერთობლივად განხორციელდება.

მნიშვნელოვანია, რომ წელს სწავლების ყველა საფეხურზე განხორციელდა სტუდენტთა ჩარიცხვა, მათ შორის უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ განახლდა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება, რაც ჩვენი ღირსეული ცვლის აღზრდის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს.

უცხოეთის უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე, ხორციელდება გაცვლითი პროგრამები. გასულ სასწავლო წელს ებერსვალდეს მდგრადი განვითარების სასწავლებელს, ნორვეგიის, ნახჭევანისა და რიზეს უნივერსიტეტებთან ამოქმედდა ორმხრივი გაცვლითი პროგრამები.

ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცესის გავლის შემდეგ, რომლის დროსაც დადებითად იქნა შეფასებული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი, უნივერსიტეტში პრიორიტეტად მინიჭებული კვალიფიკაციის ხარისხის უზრუნველყოფა გამოცხადდა. ეს კი, პირდაპირ კავშირშია სწავლისა და სწავლების ხარისხთან და მისი საუკეთესო ინდიკატორი სტუდენტთა აკადემიური დონეა. ამასთან დაკავშირებით, რიგ სხვა ღონისძიებებთან ერთად გასულ სასწავლო წელს დაინერგა რეიტინგული და ძირითადი გამოცდების დაშიფრული სახით ჩატარება. დარგობრივ დეპარტამენტებში გამოცდების შედეგების ანალიზმა და განხილვამ გვიჩვენა არსებული ხარვეზები, რომელთა გამოსწორება ახალი სასწავლო წლისათვის იგეგმება.

გარდა სასწავლო პროცესისა, დეკანატი ორგანიზებას უწევს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სხვადასხვა აქტივობა. რეგულარულად აწყობს შეხვედრებს სტუდენტებთან, იმართება როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი კონფერენციები და სიმპოზიუმები, სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მიერ იმართება განხილვები და დისკუსიები, სტუდენტები ატარებენ ვორქ - შოფებსა და კულტურულ საღამოებს, საჯარო და კერძო სკოლებთან ერთად ტარდება ერთობლივი ღონისძიებები, მოეწყო არაერთი საქველმოქმედო აქცია.

როგორც ამ მცირედი ჩამონათვალიდანაც ჩანს, ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროცესთან ერთად აქტიური სამეცნიერო და შემოქმედებითი ცხოვრება მიმდინარეობს. უნდა ითქვას, რომ გასული სასწავლო წელი კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენი ფაკულტეტის წინსვლის საქმეში, მაგრამ ეს როდია საკმარისი. რა თქმა უნდა, არის პრობლემები, რომლებიც გათავისებული აქვს თითოეულ ჩვენგანს და რომელთა დაძლევა მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევითაა შესაძლებელი. იმას, რომ ჩვენი ფაკულტეტი და ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამები მოთხოვნადია, მოწმობს წლევანდელი ჩარიცხვაც. ფაკულტეტზე 98 პროცენტიანი ჩარიცხვა განხორციელდა, რაც გასული წლის შედეგებზე მაღალია.

დასასრულ, მინდა გზა დავუღოცო წლევანდელ პირველკურსელებს, მათ ვინც პირველად შემოაღებს ჩვენი უნივერსიტეტის კარებს და მსურს დავარწმუნო, რომ აქ კვალიფიციური პერსონალი და სწავლისათვის შესაბამისი გარემო დახვდებათ. ჩვენ ყველანი კი ერთად ვიზრუნებთ განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის შემდგომ წინსვლასა და გაძლიერებაზე.

განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი

მარინა ქორიძე

უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა

2012 წლის 23 მარტს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველოს ახალი თავმჯდომარე აირჩიეს. უჩა აბრამიშვილი თვითმმართველობის წევრებთან ერთად სტუდენტებისთვის არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს. მეგობრული გუნდი სტუდენტების გვერდით დგას და მზად არის მათ ინიციატივებს გამოეხმაუროს.



სტუდენტური თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული სტუდენტურ ცხოვრებაში, მონაწილეობს უნივერსიტეტის მართვაში, სასწავლო პროცესის სრულყოფასა და უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში. სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენების, მიმდინარე ღონისძიებებისა და პროექტების შესახებ. იცავს სტუდენტთა უფლებებს და ხელს უწყობს მათს პროფესიულ განვითარებას.

აქტიურად მონაწილეობს დასაქმების, სამეცნიერო-კვლევითი, ინტელექტუალური, კულტურული, შემოქმედებითი და სპორტული პროექტების განხორციელებაში. კოორდინირებულად მუშაობს სხვადასხვა სტუდენტურ საინიციატივო ჯგუფთან. გააჩნია კავშირები სხვა უმაღლესი დაწესებულების სტუდენტურ ორგანიზაციებთან და თვითმმართველობებთან, არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციებთან. მათთან მჭიდრო თანამშრომლობით უნივერსიტეტის სტუდენტურმა თვითმმართველობამ არაერთი მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი ღონისძიება ჩაატარა.

2008 წლის აგვისტოს რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში უნივერსიტეტის სტუდენტურმა თვითმართველობამ, სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა პატივი მიაგეს 2008 წლის ომში დაღუპულ ამირან მამალაძის ხსოვნას. ამირან მამალაძე შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, რომელიც ომის დროს, ცხინვალის რეგიონში გმირულად დაეცა. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა გვირგვინით შეამკეს ომში დაღუპული გმირის საფლავი.

შეხვედრა საჯარო სკოლების თვითმმართველობის თავმჯდომარეებთან

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე უჩა აბრამიშვილი ბათუმის საჯარო სკოლების თვითმმართველობის თავმჯდომარეებს შეხვდა. ახალგაზრდები ერთობლივი საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურული და სპორტული პროექტების განხორციელებაზე შეთანხმდნენ. სკოლის მოსწავლეები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების მიერ ჩამოყალიბებულ ახალგაზრდულ ორგანიზაცია „აღსდექ საქართველოს“ საქველმოქმედო ღონისძიებების ეგიდით ბათუმის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის მშენებლობაში მიიღებენ მონაწილეობას.

სტუდენტური დღეები და სტუდენტური უნივერსიადა

სტუდენტური დღეები და სტუდენტური უნივერსიადა

სტუდენტური თვითმმართველობა აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებულ „სტუდენტური დღეები - 2012“-ის და „სტუდენტური უნივერსიადა - 2012“-ის, ასევე აჭარის ა.რ სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული „სტუდენტური დღეები - აჭარა 2012“-ის საორგანიზაციო საკითხებში. სტუდენტური თვითმმართველობის მხარდაჭერით ღონისძიებებში მონაწილე სტუდენტები უზრუნველყოფილი იყვნენ ტრანსპორტით, საცხოვრებელი ბინებითა და კვებით. დაჯილდოების დროს სუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარემ უჩა აბრამიშვილმა უნივერსიტეტის რექტორთან, ბატონ ალიოშა ბაკურიძესთან ერთად, ღონისძიებაში მონაწილე ყველა სტუდენტს მადლობის სიგელი გადასცა.

Speak Up in Georgia

სტუდენტური თვითმმართველობა აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული სტუდენტებისათვის განკუთვნილი Speak Up in Georgia-ს პროგრამის განხორციელებაში. პროგრამა მოიცავდა ისეთ საკითხებს როგორიცაა საჯარო გამოსვლა, რეზიუმეს წერა/ინტერვიუები, ინგლისური ენის სწავლების ეფექტური გზები, ბრენდინგის ხელოვნება, ლიდერობა ახალგაზრდებში და ა.შ.

,,გახდი მენეჯერი სათამაშო მაგიდასთან"

სტუდენტურმა თვითმმართველობამ მხარი დაუჭირა პროექტის ბიზნეს-ეკონომიკური, ინტელექტუალური თამაშის ,,გახდი მენეჯერი სათამაშო მაგიდასთან" განხორციელებას. ინტელექტუალურ თამაშში გამარჯვებულ გუნდს სტუდენტურმა თვითმმართველობამ სვანეთის საგზური გადასცა.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე სტუდენტურმა თვითმმართველობამ ბათუმის №16 ბავშვთა ბაღისა და ურეხის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს მიულოცეს და ნაყინითა და ტკბილეულით გაუმასპინძლდნენ.

ქაზიმ ქოინჯუს გახსენება

ლაზი მომღერლის ქაზიმ ქოინჯუს ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება თურქეთის რესპუბლიკაში სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა ცნობილი ლაზი მომღერალი ქაზიმ ქოიუნჯუ გაიხსენეს. უნივერსიტეტის დელეგაცია სპეციალურად თურქეთში, მომღერლის მშობლიურ სოფელ პანჭოლში ჩავიდა. ქაზიმ ქოიუნჯუს საფლავზე უნივერსიტეტის გოგონათა და ვაჟთა ვოკალური ანსამბლის წევრებმა ცნობილი ლაზური სიმღერები შეასრულეს.

,,იყავი ბრიტანეთის ნაწილი"

ორგანიზებითა და მხარდაჭერით ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტებმა ბრიტანული კულტურის საღამო - „იყავი ბრიტანეთის ნაწილი" მოაწყვეს. სტუდენტებმა ინგლისურ ენაზე ბრიტანეთის ისტორიის, ლიტერატურისა და კულტურის შესახებ ინტელექტუალურ-შემეცნებითი თამაშები და სლაიდშოუ წარმოადგინეს. ასევე შეასრულეს შოტლანდიური ცეკვები, ცნობილი ბრიტანული სიმღერები და თეატრალიზებული წარმოდგენები. ღონისძიება ბრიტანული კულტურის პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად.

პირველობა მკლავჭიდში

სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებითა და მხარდაჭერით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველობა ჩატარდა მკლავჭიდში. ტურნირში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხუთივე ფაკულტეტის 100-მდე სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. პირველობის მოსაპოვებლად 65, 70, 75, 80, 85 და მძიმე კატეგორიის ახალგაზრდები იბრძოდნენ. საუკეთესო სპორტსმენები გამოვლინდა ცაციებს შორისაც. სამი საპრიზო ადგილის მფლობელ სტუდენტებს სიგელები გადაეცათ, ხოლო საუკეთესო მკლავჭიდელები სტუდენტურ უნივერსიადაზე გაგზავნეს.

სტუდენტური პროექტი "ფრანგული ოდისეა"

სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ენის სპეციალობის სტუდენტებისათვის პროექტი "ფრანგული ოდისეა" განხორციელდა. პროექტის ფარგლებში ფრანგული კულტურის საღამო გაიმართა, მოეწყო საფრანგეთის ღირსშესანიშნაობებისა და კულტურული ძეგლებისადმი მიძღვნილი სლაიდშოუ, ჩატარდა სხვადასხვა სახის ინტელექტუალურ-შემეცნებითი თამაში. საღამოს სტუდენტებთან ერთად ევროპეისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი მარინა გიორგაძე და ფრანგული ენის პროფესორ-მასწავლებლები ესწრებოდნენ.

„ეროვნული უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები და ტენდენციები"

სტუდენტური თვიმმართველობისა და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ორგანიზებით ბათუმის რეგიონალური სამეცნიერო კონფერენცია „ეროვნული უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები და ტენდენციები" ჩატარდა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტების და ინფორმაციული უსაფრთხოების კვლევებისა და ანალიზის ცენტრის წარმომადგენლებმა მოხსენებები სახელმწიფო ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე წარმოადგინეს. კონფერენციაზე ისეთი მნიშვნელოვანი თემები განიხილეს, როგორიცაა: უსაფრთხოება და თანამედროვე გამოწვევები, ეროვნული უსაფრთხოება, კიბერუსაფრთხოება ეროვნულ უსაფრთხოებასთან მიმართებაში და ყოველდღიურ ცხოვრებაში. სამეცნიერო სესიის ფარგლებში მრგვალი მაგიდა მოეწყობა.

პროექტი „აღსდექ საქართველო"

უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ჩამოყალიბდა ორგანიზაცია „აღსდექ საქართველო", რომლის მიზანია საქართველოში მშენებარე ეკლესია-მონასტრებისთვის მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის აღმოჩენა. აღნიშნული ორგანიზაცია აერთიანებს როგორც უნივერსიტეტის სტუდენტებს, ისე რეგიონის ახალგაზრდობას და პროფესორ-მასწავლებლებს. ორგანიზაციის ინიციატივით მოეწყო არა ერთი მშენებარე ეკლესია-მონასტერის (ახალსოფლის წმინდა გიორგის სახელობის, აჭარისწყლის ღვთისმშობლის კარის სახელობის, წმინდა მეფის დავით აღმაშენებლის სახელობის, მარკოზ მახარებლის სახელის, წმინდა ილია მართლის სახელობის, აჭარაში წამებულთა თურქთაგან მოწყვეტილთა დედათა და მამათა სახელობის და ბათუმის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია) მშენებლობის პროცესში ჩართვა, დასუფთავება-დალაგება, საქველმოქმედო ღონისძიებების მეშვეობით ეკლესია-მონასტრებისთვის საამშენებლო მასალებისა და ფინანსების შეგროვება.

საზაფხულო დასაქმების პროგრამა

სტუდენტური თვითმმართველობის ხელშეწყობით უნივერსიტეტის თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული სტუდენტთა დასაქმების პროგრამების განხორციელებაში. სტუდენტთა საზაფხულო დასაქმების (SummerJob)რეგისტრაციის პერიოდში სტუდენტური თვითმმართველობის ტექნიკური საშუალებებით ხელშეწყობის შედეგად სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა და რეგისტრირდა. ასევე თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული ქ. ბათუმის მერიის სტუდენტური დასაქმების პროგრამის ორგანიზებაში.

ახალგაზრდული ფორუმი

სტუდენტური თვითმმართველობა მონაწილეობს რეგიონის ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება-გააქტიურებაში. ამ თვალსაზრისით სტუდენტური თვითმმართველობა რეგიონის ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად არის ჩართული რეგიონის ახალგაზრდულ პროექტებში. 2012 წლის თებერვალში უნივერსიტეტის სტუდენტებმა და სტუდენტურმა თვითმმართველობამ მონაწილეობა მიიღო აჭარის ა.რ. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ ფორუმში „რეგიონალური განვითარება, ახალგაზრდობის როლი". ფორუმში მონაწილე სტუდენტებს გადაეცათ სერტიფიკატები.

ხელშეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო პროექტების განხორციელებისთვის

სტუდენტური თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის საქმიანობაში, მხარს უჭერს მის მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ ღონისძიებებს. სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით და სტუდენტური თვითმმართველობის მხარდაჭერით გაიმართა არაერთი სტუდენტთა სამეცნიერო-შემეცნებითი ღონისძიება: დავით აღმაშენებლის დღისადმი მიძღვნილი ვიქტორინა საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეთათვის, სტუდენტური კონფერენცია „რადიაცია", რეფერატულ ნაშრომთა კონკურსი, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია 2012 და სხვა თემატური კონფერენცია თუ სამეცნიერო აქტივობა.

პროფესორი ვლადიმერ (ლადო) ბალაძე – 60

ორი უნივერსიტეტის ერთგული მსახური

დაბადებიდან სამოცი წელი შეუსრულდა ფიზიკა–მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ ვლადიმერ (ლადო) ბალაძეს – ქართული მათემატიკური სკოლის ღირსეულ წევრს და გეომეტრიული ტოპოლოგიის ცნობილ მკვლევარს.

ვ. ბალაძე დაიბადა ქედის რაიონის სოფელ გეგელიძეებში. ახალგაზრდა ვლადიმერი ნიჭიერებამ,მიზანსწრაფულ ობამ და შრომისმოყვარეობამ გახადა გეგელიძეების რვაწლიანი და ცხმორისის საშუალო სკოლების ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე. სკოლის დამთავრების შემდეგ გახდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა–მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი, ხოლო შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტი.

ვ. ბალაძის სამეცნიერო ინტერესების სფერო და სტილი ჩამოყალიბდა და განისაზღვრა უნივერსიტეტის ალგებრა–გეომეტრიის კათედრაზე და მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრა–გეომეტრიის განყოფილებაში, სადაც მოღვაწეობდნენ აღიარებული ქართველი ტოპოლოგები და ალგებრაისტები, და აკადემიკოს გიორგი ჭოღოშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა და განვითარდა საქვეყნოდ ცნობილი ქართული აბსტრაქტული მათემატიკური სკოლა.

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული ამ ორ მათემატიკურ ცენტრში აქტიურად და მაღალ დონეზე წარმოებულმა სასწავლო–სამეცნიერო და პროსემინარულმა მუშაობამ გამოიწვია იმ თაობის სტუდენტთა და ასპირანტთა, მათ შორის ვ. ბალაძის, დაინტერესება ტოპოლოგიითა და ალგებრით. ამ პროცესს ბუნებრივად მოყვა ქართულ მათემატიკურ სკოლაში მათემატიკოსთა ახალი თაობის მოსვლა, რომელმაც წინა თაობის მათემატიკოსებთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში მათემატიკის,კერძოდ ,ალგებრისა და ტოპოლოგიის განვითარებაში.

თბილისის უნივერსიტეტის პროფესორების გ. ჭოღოშვილის და ლ. ზამბახიძის, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორ ი. სმირნოვის ზეგავლენით ვ. ბალაძის სამეცნიერო კვლევის სფეროდ იქცა ტოპოლოგიის კლასიკური და თანამედროვე დარგები – განზომილების თეორია, რეტრაქტების თეორია, ჰომოლოგიის თეორია, ჰომოტოპიის თეორია, შეიპების თეორია, უწყვეტ გარდაქმნათა ჯგუფების თეორია და კატეგორიათა თეორია, რომელთა კვლევასაც მიეძღვნა მისი საკანდიდატო დისერტაცია – სივრცეთა და კომპლექსთა გამოყოფილ კლასებზე დაფუძნებული

პროფ.ვ.ბალაძე მოხსენებით გამოდის საერთაშორისო სიმპოზიუმზე–ტოპოლოგია და მისი გამოყენებანი.

განზომილებისნაირი ფუნქციების შესახებ და სადოქტორო დისერტაცია – ტოპოლოგიური სივრცეებისა და უწყვეტი ასახვების რეზოლვენტები და მათი გამოყენებანი სპექტრალურ ჰომოტოპიურ თეორიაში.

პროფ. ვ. ბალაძე გახლავთ მრავალმხრივი სამეცნიერო ინტერესების და საერთაშორისო აღიარების მქონე მათემატიკოსი. მან გამოიკვლია სივრცეთა და უწყვეტ ასახვათა თვისებები გეომეტრიული ტოპოლოგიის თვალსაზრისით, ააგო მათი განზომილებისნაირი, ჰომოლოგიური, ჰომოტოპიური და შეიპური ინვარიანტები და შეისწავლა სივრცეთა და უწყვეტ ასახვათა კლასიფიკაციის პრობლემები,რომლებთანაც დაკავშირებული სამეცნიერო შედეგები მოხსენებულ იქნა მრავალ საერთაშორისო მათემატიკურ ფორუმზე და გამოქვეყნდა ცნობილ უცხოურ და სამამულო ჟურნალებში.

ვ. ბალაძის შრომების პირველი ციკლი ეხება სივრცეთა კლასის მოდულით განზომილების თეორიას. მასში გამოკვლეულია მცირე ინდუქციური, დიდი ინდუქციური და დაფარვითი მოდულარული განზომილებები, რომლებიც წარმოადგენს განზომილების ტიპის ფუნქციებს და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კლასიკურ განზომილების თეორიაში აღმოცენებული ამოცანების კვლევაში. ავტორმა დაადგინა მათი ძირითადი თვისებები და კავშირები კლასიკურ ინდუქციურ და ლებეგის განზომილებებთან, უწყვეტი ასახვის განზომილებასთან და ჯერადობასთან და, როგორც შედეგი, მიიღო დიდი ინდუქციური განზომილების

სურათზე ქართველ ალგებრაისტთა და ტოპოლოგთა ერთი ჯგუფი.პირველ რიგში მარცხნიდან მარჯვნივ: ო. სურმანიძე, ხ. ინასარიძე, ა. მაჩიტიშვილი, მ. მიქიაშვილი, თ. დათუაშვილი, გ.ჭოღოშვილი, ნ. გვარამაძე, ნ. ლაზრიშვილი, ნ. გიორგობიანი, ლ. მძინარიშვილი, ნ. ბერიკაშვილი. მეორე რიგში მარცხნიდან მარჯვნივ: დ. სულაქველიძე, გ. ჯანელიძე, თ. ფირაშვილი, თ. ბეიტრიშვილი, ზ. თოდუა, ვ. ბალაძე, ვ. ლომაძე, ბ. ფაჩუაშვილი, ლ. ხელაია, ს. ხაჟომია, მ. კვანჭილაშვილი, მ. ურიდია, თ. ქადეიშვილი, თ. კანდელაკი, რ. ნადირაძე, ა. პაჭკორია, გ. თევზაძე.

აქსიომატური დახასიათება, სივრცეთა ლებეგის განზომილებებისა და უწყვეტი ასახვის განზომილების შესახებ მორიტას თეორემის განზოგადება, სივრცეთა ნაზრდების განზომილებებისა და კომბინატორული თვისებების დახასიათებანი, სივრცისა და ასახვის აპროქსიმაციული და ფაქტორიზაციული თეორემები.

ვ. ბალაძის შრომების მეორე ციკლში , რომელიც ეხება გეომეტრიული ტოპოლოგიის ახალ მიმართულებას– შეიპების თეორიას, განმარტებულია ლოკალურად კომპაქტური სივრცის საკუთრივი რეზოლვენტა და დამტკიცებულია მისი არსებობის თეორემა. სივრცის საკუთრივი რეზოლვენტის ცნება მიეკუთვნება შეიპების თეორიის მნიშვნელოვან ცნებებს. მისი ერთ-ერთი მთავარი თვისება ისაა, რომ იგი ინდუცირებს სივრცის გაფართოებას ლოკალურად კომპაქტური პოლიედრების ჰომოტოპიური ტიპის მქონე სივრცეთა საკუთრივი ჰომოტოპიური ქვეკატეგორიის მიმართ. ეს შედეგი გახდა ლოკალურად კომპაქტურ სივრცეთა შეიპური თეორიის, ე.წ. საკუთრივი შეიპური თეორიის, აგების საფუძველი. საკუთრივი შეიპური თეორია იძლევა სივრცეთა ბორსუკის, მარდეშიჩისა და მორიტას შეიპური კლასიფიკაციებისაგან განსხვავებულ შეიპურ კლასიფიკაციას. საკუთრივი შეიპური თეორიის მეთოდების გამოყენებით ავტორმა ააგო ლოკალურად კომპაქტური პოლიედრების კატეგორიაზე განსაზღვრული ფუნქტორების უწყვეტი

და საკუთრივ კოშეიპურად ინვარიანტული გაგრძელებები, განავითარა საკუთრივი შეიპური განზომილების თეორია და დაამტკიცა ჰურევიჩისა და უაიტჰედის თეორემები საკუთრივ შეიპურ კატეგორიაში. გარდა ამისა, ბუნებრივი გარდაქმნების მეშვეობით მოგვცა საკუთრივი შეიპური მორფიზმებისა და საკუთრივი შეიპური კლასიფიკაციის ალტერნატიული, მარტივი კატეგორიული აღწერა.

ვ. ბალაძის შრომების მესამე ციკლში, რომელიც ეხება ფიბრაციულ შეიპურ თეორიას, განვითარებულია უწყვეტ ასახვათა გეომეტრიული თეორია რეტრაქტების თეორიის თვალსაზრისით. ავტორის მიერ განმარტებულია სხვადასხვა კლასის უწყვეტ ასახვათა აბსოლუტური (მიდამოებრივი) რეტრაქტები და აბსოლუტური (მიდამოებრივი) ექსტენზორები და დადგენილია მათი ძირითადი თვისებები. ეს თვისებები არსებით როლს თამაშობენ უწყვეტ ასახვათა ფიბრაციული რეზოლვენტების არსებობის თეორემების დამტკიცებისას. უწყვეტ ასახვათა რეტრაქტებისა და ექსტენზორების გამოკვლევები უკავშირდება ა. დოლდის, გ. ნ. ნეპომნიაშჩისა და ი.მ. სმირნოვის, გ. ს. უნგარის, ტ.იაგასაკის, ი. მ. ჯეიმსის, ვ. ვ. ფედორჩუკისა და ა. ჩიგოგიძის შრომებს, რომლებშიც ასახვათა რეტრაქტები და ექსტენზორები შესწავლილი იყო ევკლიდური სივრცის ქვესივრცეების, მეტრიკული კომპაქტური სივრცეების და მეტრიკული სივრცეების ასახვების კლასებისთვის. ვ. ბალაძის შრომებში შეიქმნა ასახვათა რეტრაქტების ზოგადი თეორია და, მის საფუძველზე, ნებისმიერ უწყვეტ ასახვათა ფიბრაციული შეიპური თეორია, რომელიც წარმოადგენს ტ. იაგასაკის, ჰ. კატოს, მ. კლაპისა და ლ. მონტეჯანოს ფიბრაციული კომპაქტური და ფიბრაციული მეტრიკული შეიპური თეორიების შინაარსიან გაფართოებას.

ტოპოლოგიურ სივრცეთა ნებისმიერი უწყვეტი ასახვის რეზოლვენტების და კომპაქტურ სივრცეთა უწყვეტი ასახვის კომპაქტური პოლიედრების უწყვეტი ასახვებით აპროქსიმაციის არსებობის თეორემები ამასთანავე არის დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე საინტერესო შედეგები. მათი გამოყენებანი მოიცავს უწყვეტ ასახვათა ფიბრაციულ შეიპურ კლასიფიკაციას, ფუნქტორების ფიბრაციულ-შეიპურად ინვარიანტული გაგრძელებების აგებას, სივრცეთა უწყვეტი ასახვების კატეგორიიდან - ჯგუფების, -ჯგუფების და ჯგუფების გრძელი ზუსტი მიმდევრობების კატეგორიაში ფუნქტორების განსაზღვრას და ფიბრაციული შეიპური რეტრაქტების დახასიათებას.

თანაბარ შეიპურ თეორიასთან დაკავშირებულ შრომების ციკლში ვ. ბალაძე ავითარებს პრეკომპაქტურ თანაბარ სივრცეთა შეიპურ თეორიას, რომლის მეთოდები იძლევა სავსებით რეგულარულ სივრცეთა შინაგანი თვისებების მეშვეობით კომპაქტიფიკაციებისა და ნაზრდების შეიპების, (კო)ჰომლოგიური და (კო)ჰომოტოპიური ჯგუფების დახასიათების საშუალებას. ამ ციკლის შრომებში ავტორმა გამოიკვლია ი. მ. სმირნოვის ცნობილი პრობლემა:

ვიპოვოთ ის აუცილებელი და საკმარისი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ სივრცეებს გააჩნდეთ მოცემული ტოპოლოგიური თვისებების მქონე გაფართოებები და ნაზრდები.

ეს პრობლემა მრავალი ავტორის კვლევის ობიექტი იყო, მას აქვს არატრივიალური ამოხსნა და იგი განსაკუთრებით რთულია იმ შემთხვევაში, როცა ტოპოლოგიური თვისების როლში აღებულია სივრცის თვისება-ჰქონდეს მოცემული შეიპი, მოცემული (კო)ჰომოლოგიური ჯგუფი ან მოცემული (კო)ჰომოტოპიური ჯგუფი. ამ პრობლემის შესწავლის მიზნით ვ. ბალაძის მიერ აგებული და გამოკვლეული იქნა სივრცეთა ახალი ალგებრული ინვარიანტები. კერძოდ, მან განავითარა თანაბარი კოჰომოლოგიური თეორია და საზღვრული (კო)ჰომოლოგიური თეორია. აგებული ფუნქტორები სივრცის შინაგანი თვისებების მეშვეობით შესაბამისად აღწერენ კომპაქტიფიკაციების და მათი ნაზრდების კლასიკურ კოჰომოლოგიურ ჯგუფებს. გარდა ამისა, ამ ციკლის შრომებში ავტორის მიერ მიღებულია შედეგები, რომლებშიც მოცემულია ის აუცილებელი და საკმარისი პირობები, რომელთა შესრულების შემთხვევაში სივრცეს აქვს მოცემული შეიპი, მოცემული შეიპური რეტრაქტი ან ნაზრდი მოცემული შეიპით.

ვ. ბალაძის შრომების შემდეგ ციკლში განვითარებულია ტოპოლოგიურ სივრცეთა კოშეიპური თეორია. ამ თეორიის მნიშვნელობას და განვითარების აუცილებლობას ხაზს უსვამს მრავალი ცნობილი ავტორი (ა. დელიანუ, ი. ტ. ლისიცა, ს.მარდეშიჩი,ტ. მიუატა, ს. ნოვაკი, ტ. პორტერი, ი. მ. სმირნოვი, პ. ჰილტონი, ჰ. ვ. ჰენი). ვ. ბალაძემ დაწვრილებით შეისწავლა

წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის ეზოში ჯვრის აღმართვისას ცნობილი ქართველი პოეტი – რუსთაველის პრემიის ლაურეატი ფრიდონ ხალვაში,პროფ. ვ.ბალაძე და უნივერსიტეტის რექტორი მეუფე სპირიდონი.ბატონი ფრიდონის ვლადიმერისადმი გაგზავნილი მისალოცი წერილები გვამცნობს,რომ პოეტი გულით ხარობდა მშობლიური კუთხის შვილების,მათ შორის ვლადიმერის,თანასოფლელისა და დედით ნათესავის წარმატებებით.

ნებისმიერი კატეგორიის პირდაპირი სისტემების კატეგორიის ფაქტორ-კატეგორია; დაამტკიცა კატეგორიის ობიექტის კოგაფართოების არსებობის თეორემა; მოძებნა ის აუცილებელი და საკმარისი პირობები, რომელთა შემთხვევაში მოცემული კატეგორიისა და მისი ქვეკატეგორიის წყვილისთვის არსებობს კოშეიპური კატეგორია, ე.წ. აბსტარქტული კოშეიპური კატეგორია; დაადგინა ამ კატეგორიის მორფიზმების ეპიმორფულობის, მონომორფულობის

და იზომორფულობის პირობები, რომელთა მეშვეობით გამოიკვლია კატეგორიის ობიექტების მიმდევრობების სიზუსტის საკითხები. მიღებული შედეგების მნიშვნელობას განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ მათ საფუძველზე ავტორმა ააგო ტოპოლოგიური

კოშეიპური კატეგორია და სასრული -კომპლექსების ქვეკატეგორიაზე განსაზღვრული ფუნქტორების კოშეიპურად ინვარიანტული და უწყვეტი გაგრძელებები; დაამტკიცა კოშეიპურ კატეგორიაში ჰურევიჩის თეორემა და სივრცეთა წყვილებისა და უწყვეტი ასახვების გრძელი ზუსტი (კო)ჰომოლოგიური და ჰომოტოპიური მიმდევრობების არსებობის თეორემები. აბსტრაქტული კოშეიპური კატეგორიის მნიშვნელობა განპირობებულია იმითაც, რომ მისი მეთოდების გამოყენებით შესაძლებელი გახდა ტოპოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანის- „კარგი“ თვისებების მქონე ობიექტების ქვეკატეგორიაზე განსაზღვრული ალგებრული ფუნქტორების მომცველ კატეგორიაზე გაგრძელების ამოცანის გამოკვლევა. ამ მიმართულებით ავტორის მიერ მიღებული შედეგები ა. დოლდის, დ. კანის, ს. ნ. ლისა და ფ. რაიმონდის, ტ. ვატანაბეს, ს. მარდეშიჩისა და ჯ. სეგალის მიღწევებთან ერთად წარმოადგენს ამ ამოცანის შესწავლაში შეტანილ მნიშვნელოვან წვლილს.

პროფ.ვ.ბალაძის აქტიური სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგია ისიც,რომ ბათუმის უნივერსიტეტში მოქმედებს სამეცნიერო სემინარი „გეომეტრიული ტოპოლოგია და გამოყენებანი“და მისი მოსწავლეები იკვლევენ მათემატიკის ამ მიმართულებას. ბატონ ვლადიმერის გამოკვლევები და იდეები გახდა მათი შრომების საფუძველი და სამეცნიერო საქმიანობის სტიმული.

პროფ. ვ. ბალაძის სამეცნიერო მუშაობა განუყოფელია მისი პედაგოგიური მოღვაწეობისაგან, რომელიც დაიწყო 1976 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და გაგრძელდა 2005 წლამდე, ვიდრე გადავიდოდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუდმივად სამუშაოდ. ალგებრა–გეომეტრიის კათედრაზე გაიარა აკადემიური

პარიზი, 1992 წელი. სორბონის უნივერსიტეტის წინამდებარე ქუჩაზე ევროპის მათემატიკოსთა პირველი კონგრესის მონაწილენი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი დ. ბალაძე და პროფ. ვ.ბალაძე.ბატონ დურსუნს გულით უხაროდა მისი მეგვარის წარმატებები და ამაყობდა იმ ფაქტით, რომ ბალაძეების საგვარეულოს ჰყავდა სამი ფიზიკა–მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.

საქმიანობის ყველა საფეხური, კათედრის ლაბორანტიდან კათედრის პროფესორამდე და მიყავდა მრავალნაირი სპეციალური კურსი. მას წილად ხვდა პატივი გაეგრძელებინა თანამედროვე გეომეტრიული კურსის–ტოპოლოგიის წაყვანა მექანიკა–მათემატიკის ფაკულტეტზე,რომელსაც წლების განმავლობაში კითხულობდა კათედრის გამგე–ქართული ტოპოლოგიური სკოლის ფუძემდებელი აკადემიკოსი გიორგი ჭოღოშვილი. კათედრის ეს გადაწყვეტილება მრავლისმთქმელია, მის პედაგოგიურ ღირსებებს და დამსახურებებს უკავშირდება. ბატონი ვლადიმერი 1991 წლიდან შეთავსებით იწყებს მუშაობას ახლად დაარსებული ბათუმის უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრაზე, სადაც დიდი ენთუზიაზმით ბათუმელ სტუდენტებს გადასცემს იგივე საუნივერსიტეტო კურსებს და ზრუნავს საუნივერსიტეტო სამეცნიერო კადრების გაზრდაზე. დიდი ერუდიცია, პერსპექტიული მიმართულებების და ამოცანების ამოცნობის და დასმის უნარი, ყველა თავისი მოსწავლის მიმართ კეთილმოსურნე დამოკიდებულება არის საფუძველი მისი წარმატებული პედაგოგიური მოღვაწეობისა,რაც თავისთავად წარმოადგენს თბილისისა და ბათუმის უნივერსიტეტების ტრადიციული თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითს.

პროფ. ვ. ბალაძე 2005–2006 წლებში მუშაობდა ბათუმის უნივერსიტეტში სასწავლო–აკადემიურ დარგში რექტორის მოადგილედ,ხოლო 2006–2007 წლებში რექტორად.უნივერსიტეტისა და ახალგაზრდა თაობის ერთგული მსახური თანამოაზრეთა გუნდთან ერთად აქტიურად მუშაობდა რეფორმებთან დაკავშირებულ პრობლემებზე, მოძებნა მათი გადაწყვეტისა და განხორციელების სწორი გზები და საფუძველი ჩაუყარა უნივერსიტეტის განვითარებისათვის აუცილებელ მრავალ სასარგებლო და

მნიშვნელოვან ღონისძიებას,რომლებმაც ქართული სამეცნიერო საზოგადოების მოწონება და ყურადღება დაიმსახურა.

პროფ. ვ. ბალაძე იყო და არის პრინციპული მომხრე და მხარდამჭერი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში და უნივერსიტეტში გონივრული რეფორმების გაგრძელების. იგი მუდმივად ერთგული იყო და არის იდეისა გადაიქცეს ბათუმის უნივერსიტეტი საერთაშორისო აღიარების ეროვნულ საგანმანათლებლო კერად, იყოს სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს წარმატებული უნივერსიტეტი და შეასრულოს ის ეროვნული მისია, რაზეც ოცნებობდნენ ჩვენი ერის საუკეთესო შვილები, მათ შორის აკადემიკოსი გ. ჭოღოშვილი – ბათუმში უნივერსიტეტის დაფუძნების ყველაზე დიდი მებრძოლი და ინიციატორი, ვინაც საოცარი როლი ითამაშა ვ. ბალაძის პიროვნების, მრწამსისა და შეხედულებების ფორმირებაში. მათი ურთიერთობა მარტო მათემატიკას არ უკავშირდებოდა.ხშირად გვინახავს ქვეყნის დამოუკიდებლობაზე და ისტორიაზე მოსაუბრე მასწავლებელი და მოსწავლე.ეს საუბრები დიდხანს, გვიან ღამემდეც კი გრძელდებოდა და დისკუსიის მუდმივი თემა იყო აჭარასთან, ტაო–კლარჯეთთან,მესხეთ–ჯავახეთთან, ლაზეთთან, საინგილოსთან, ერთი სიტყვით,მძიმე წარსულგამოვლილ ქართულ მხარეებთან დაკავშირებული ისტორიული პრობლემები. ბატონ გიორგის, ბატონი ლადო და აჭარის მკვიდრი – თბილისში მოღვაწე მეცნიერები,რომლებთანაც დიდი სიახლოვე და მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდა, თავიანთი პიროვნული ღირსებებით,მოქალაქეობრივი მრწამსით და მიღწევებით მიაჩნდა აჭარაში გადარჩენილი და გაცოცხლებული ქართული გენის აღორძინებად და გამობრწყინებად.

ჭეშმარიტად ასეა, ბატონი ვლადიმერი თავისი ძირძველი ქართული მხარის–აჭარის ღირსეული შვილია. ამას ის საქმითაც ამტკიცებდა. იგრძნო რა, რომ თავისი ქვეყნისთვის უფრო საჭიროა მისი მოღვაწეობა ბათუმის უნივერსიტეტში,მაშინვე,გასული საუკუნის 90–იანი წლების დასაწყისში,შეთავსებით დაიწყო იქ მუშაობა.მიუხედავად რთული პერიოდისა, ახერხებდა ორივე უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წაყვანას, რასაც ხელს უწყობდა ორივე უნივერსიტეტის რექტორების,ფაკულტეტების დეკანების და კათედრების გამგეთა მხარდაჭერა და თანადგომა. ასე გრძელდებოდა მთელი თხუთმეტი წლის განმავლობაში და შედეგიც სახეზე იყო...შემდეგ კი მისი მოღვაწეობა მთლიანად დაუკავშირდა ბათუმის უნივერსიტეტს. ბატონი ვლადიმერი თავისი საზოგადოებრივი და მეცნიერული მიღწევებით და გაწეული ღვაწლით ამშვენებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალგებრა–გეომეტრიის კათედრის და ბათუმის უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრის ისტორიას.

პროფ.ვ.ბალაძე 2008 წლიდან დღემდე ბათუმის უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელია. ბატონი ვლადიმერისა და მისი კოლეგების აქტიური მოღვაწეობითა და ძალისხმევით მათემატიკის დეპარტამენტი გადაიქცა ერთერთ მნიშვნელოვან მათემატიკურ ცენტრად. იგი მუდმივად ინარჩუნებს სამეცნიერო კონტაქტებს ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის მათემატიკურ ცენტრებთან და საზოგადოებებთან. არის მრავალი საერთაშორისო მათემატიკური ფორუმის ორგანიზატორი. აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტში შექმნილმა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისმა, სწავლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებმა მოიპოვა ექსპერტთა აღიარება და მხარდაჭერა.

პროფ. ვ. ბალაძე სარგებლობს დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით თავის ქართველ და უცხოელ კოლეგებს, უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ–მასწავლებლებს შორის, არის ამერიკის მათემატიკური საზოგადოების ჟურნალ Mathematical Reviews-ის რეფერენტი–ექსპერტი და შეყვანილია მსოფლიოს ცნობილ მოღვაწეთა ამერიკულ კატალოგში WhosWho in the World.ბატონ ვლადიმერს გააჩნია ურთიერთობის არაჩვეულებრივი ნიჭი,ყოველთვის იზიდავს მისკენ სხვადასხვა ასაკისა და მსოფლმხედველობის ადამიანებს, რომლებიც მუდმივად მიმართავენ მას რჩევისათვის, დახმარებისათვის ანდა აზრთა გაზიარებისთვის, ის კი ყოველთვის მზადაა გაუგოს მათ და დაიჭიროს მათთვის სასარგებლო, თუნდაც პირადად მისთვის არასასურველი პოზიცია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში უნივერსიტეტისა და ქვეყნის ინტერესების საზიანო. ღირსეული მშობლების ულამაზეს ქართულ ოჯახში გაზრდილი შვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ახასიათებს საქმისადმი დიდი სიყვარული და თავდადება, ყოველდღიურ ცხოვრებას და საქმიანობას კი სამშობლოს დამოუკიდებლობასა და გაერთიანებაზე ფიქრი და უსაზღვრო წუხილი,სტუდენტობის წლებიდან მოყოლებული იდგა იქ, სადაც ქვეყანას და ხალხს სჭირდებოდა, რადგან სხვანაირად არ ძალუძს.

სულითა და გულით ვუოცავთ ბატონ ვლადიმერს დაბადებიდან მესამოცე წელს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას,სამეცნიერო წარმატებებს და პედაგოგიურ მიღწევებს მისი შესანიშნავი ქართული ოჯახის,ქვეყნის და ახალგაზრდა თაობის გასახარად და საკეთილდღეოდ.

პროფესორები: ა.ბაკურიძე, რ.დუდუჩავა, ნ.ფარცვანია, მ.ქორიძე, რ.ბოჭორიშვილი, თ. ალიაშვილი, ე.ალშიბაია, მ.ამაღლობელი, თ.დათუაშვილი, ზ.დვალიშვილი, ი.დიასამიძე, თ.ვეფხვაძე, ნ.ინასარიძე, ს.ლაშხი, ვ.ლომაძე, ლ.მძინარიშვილი, რ.ომანაძე, რ.ორმოცაძე, ა.პაჭკორია, ი.სანებლიძე, ო.სურმანიძე, ვ.ტარიელაძე, თ.ქადეიშვილი, ი.წერეთელი, გ.ჯანელიძე, გ.ხიმშიაშვილი,

ჩვენი ძვირფასი მასწავლებელი და გულშემატკივარი

ყველამ კარგად ვიცით პროფესორ ვლადიმერ (ლადო) ბალაძის– მასწავლებლისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის ფასი. ჩვენი ტოპოლოგიით დაინტერესება და პირველი მეცნიერული მიღწევები არსებითად მის სახელს უკავშირდება. მუდამ დიდი ინტერესით მოველოდით მის უნივერსიტეტში გამოჩენას,გვხიბლავდა მისი შინაარსიანი ლექციები,მათემატიკურად ზუსტად ფორმირებული წინადადებები და გამართული მეტყველება, გვაოცებდა დაფაზე დაწერილი ულამაზესი მათემატიკური სიმბოლოები და ქართული ასოები.ასე იყო და ასეა დღესაც.ჩვენი მიმზიდველი, მომხიბლველი და მისაბაძი მასწავლებლის დიდ კულტურასა და ქცევაში გამოსჭვივოდა ქართული დამწელობისადმი,და საერთოდ,ყოველივე ქართულისადმი დიდი პატივისცემა და სიყვარული.ვგრძნობდით ამას შეგნებულად ჩვენთვის ,სტუდენტებისთვის აკეთებდა. დღეს,მადლიერ მოსწავლეებს, გვსურს დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მივულოცოთ 60 წლის იუბილე ბატონ ლადოს – ქართული ტოპოლოგიური სკოლის ერთ-ერთ გამორჩეულ წარმომადგენელს. გვეამაყება,რომ ჩვენმა მასწავლებელმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწია სამეცნიერო ასპარეზზე და ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართველ მათემატიკოსთა შორის.

ბატონ ლადოს არასდროს დავიწყებია მშობლიური კუთხე. ის შეთავსებით მუშაობდა ბათუმში,ქვეყნის ისტორიის ყველაზე რთულ პერიოდში ჩამოდიოდა ჩვენს უნივერსიტეტში და გვიკითხავდა ლექციებს, ცდილობდა ქართული ტოპოლოგიური სკოლის არეალის გაფართოებას. ბათუმში მოღვაწეობის დროს პროფესორ ლადო ბალაძის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა არც ერთი ახალგაზრდა, რომელიც დაინტერესდა ტოპოლოგიით. გამორჩეულ სტუდენტებს სწავლის პერიოდში გვაძლევდა დავალებებს, აქტიურად გვიტარებდა კონსულტაციებსა და სამეცნიერო სემინარებს არამარტო უნივერსიტეტში, არამედ თავისი პატარა დის, ბულბულის ბინაზეც. ამ გზით ის გვიღრმავებდა ცოდნას და ფაქტობრივად გვამზადებდა სწავლების შემდეგი ეტაპისათვის– ასპირანტურისთვის. სწორედ მათ რიგში აღმოვჩნდით ამ წერილის ავტორები, რომლებმაც სამეცნირო ნათლობა ბატონი ლადოსაგან მივიღეთ. ის ცდილობდა თავისი ასპირანტები ემუშავებინა ტოპოლოგიის სხვადასხვა დარგში. ასე ახერხებდა სამეცნიერო კადრების მომზადებას და იმ სამეცნიერო მიმართულებების განვითარებას, რომლებშიც მას უდიდესი გამოცდილება ჰქონდა და სჭირდებოდა უნივერსიტეტს. ჩვენ,მის მოსწავლეებს,მართლაც გაგვიმართლა, მოგვეცა შესაძლებლობა ტოპოლოგიის მრავალ დარგში, სხვა უნივერსიტეტში გადასვლის გარეშე, ადგილზე მიგვეღო სერიოზული განათლება. გვიხარია, რომ ჩვენი მასწავლებლის მოღვაწეობა არ დარჩენილა დაუფასებელი. იმუშავა დიდ საუნივერსიტეტო თანამდებობებზე. დიდი პასუხისმგებლობა და შრომისმოყვარეობა, კოლეგებისადმი მომთხოვნელობა და მხარდაჭერა აძლევდა საშუალებას უნივერსიტეტის სასწავლო პროცესი გაემართა და მაღალ აკადემიურ დონეზე წაეყვანა. ბატონ ლადოს რექტორობის პერიოდში ყოველდღიური საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა არამარტო ადმინისტრაციულ პირებთან, არამედ სტუდენტებთანაც. ის ყოველთვის ახერხებდა დროულად და ეფექტურად ემოქმედა სტუდენტების ნებისმიერი პრობლემის გადასაწყვეტად. ყოველდღიურად, გვიან ღამემდე მომუშავე რექტორი, ჩვენთვისაც ნახულობდა დროს, ინტერესდებოდა ჩვენი სამეცნიერო საქმიანობით და გვიწევდა კონსულტაციებს. მართლაც, ბატონი ლადო არის უნივერსიტეტზე და პედაგოგიურ საქმიანობაზე უზომოდ შეყვარებული მოღვაწე.

დღეს ჩვენი მასწავლებელი ხელმძღვანელობს მათემატიკის დეპარტამენტს, აქტიურად აგრძელებს სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას მოსწავლეებთან და კოლეგებთან ერთად. კიდევ ერთხელ გვსურს მივულოცოთ ბატონ ლადოს საიუბილეო თარიღი და ვუსურვოთ ჯანმრთელობა, რათა დიდხანს იღვაწოს და ღირსეული თაობები გაუზარდოს მშობლიურ უნივერსიტეტს.

ა. ბერიძე, ლ. თურმანიძე, გ.ივანაძე, მ.კაკამია, ვ. აბუსელიძე, რ. ცინარიძე

მეგობრის გახსენება

ყოველი ადამიანის ცხოვრება ქმნის მის ბიოგრაფიას. ამ ბიოგრაფიას ამშვენებს მის მიერ ქმნილი კეთილშობილური საქმეები, იგი გადაეცემა მომავალ თაობებს და არასოდეს შეწყვეტს სიცოცხლეს. სწორედ ასეთია ჩვენგან ნაადრევად წასული პროფესორ ალექსანდრე თურმანიძის ცხოვრება. 1976 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ შრომითი საქმიანობა ქ. თბილისის ეკონომიკის და ორგანიზაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტში, უფროსი ლაბორანტის თანამდებობით დაიწყო. ნიჭიერი, თავმდაბალი, შრომისმოყვარე ახალგაზრდა დიდი ქართველი მეცნიერების ხელმძღვანელობით შეუდგა ეკონომიკური მეცნიერების დაუფლების ფართო და რთულ გზას. 1986 წელს მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია და ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი დაიმსახურა. წლების განმავლობაში ბატონი ალექსანდრე პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდა სხვადასხვა თანამდებობაზე, მაგრამ ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია მეცნიერული საქმიანობა, რისი დასტურიც მის მიერ გამოქვეყნებული 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი და სახელმძღვანელოებია. სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2002 წელს დაიწყო ფინანსებისა და კრედიტის კათედრაზე. დაუღალავი შრომით ბატონმა ალექსანდრემ სტუდენტებისა და კოლეგების დიდი სიყვარული დაიმსახურა. ცოდნასთან ერთად იგი ახალგაზრდებს უნერგავდა ურთიერთსიყვარულის, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის, ზნეობრიობის გრძნობას. თავად თავმდაბალი, უფროს-უმცროსობის ტრადიციის განსახიერება, პატიოსანი, სულიერად სპეტაკი ადამიანი სხვაგვარად ვერც იმოქმედებდა. ბატონი ალექსანდრე ცხოვრობდა სტუდენტების ცხოვრებით, მათი პრობლემის მოგვარებას არასოდეს დაიზარებდა, უხმაუროდ ემსახურებოდა ახალგაზრდების აღზრდის საქმეს. ასეთივე იყო მისი დამოკიდებულება კოლეგებთან და სტუდენტებთან. იგი ყოველ დილით ღიმილით შემოაღებდა საპროფესოროს კარებს, დღის დავალებებს მოისმენდა და ჩვეული სიმშვიდით შეუდგებოდა საქმიანობას.

ბატონო ალექსანდრე, გულისტკივილითა და სინანულით ვიგონებთ თქვენი მეგობრები იმ ავბედით დღეს, როდესაც დღის ბოლომდე განმარტოებული აუდიტორიაში ავსებდით უწყისებს, თითქოს ჩქარობდით, რათა ყველაფერი მოგესწროთ. თუმცა ჩქარობდით, რადგან თქვენ შვილის ქორწილისათვის ემზადებოდით და გინდოდა სამსახურეობრივი დავალებები შეგესრულებინათ, მაგრამ რაოდენ სამწუხაროა, რომ ქორწილის დღე თქვენი გარდაცვალების მეორმოცე დღემ ჩაანაცვლა.

სიცოცხლე გრძელდება, ბატონმა ალექსანდრემ დატოვა ლამაზი ოჯახი, საუკეთესოდ აღზრდილი შვილები, რომლებიც გააგრძელებენ მამის ტრადიციებს.

უაღრესად კეთილშობილი და მოსიყვარულე, ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, დიდი მეცნიერი, საიმედო მეგობარი – აი, ასეთი იყავით ბატონო ალექსანდრე. თქვენი წასვლით მეგობრებს დაგვიტოვეთ დიდი ტკივილი და სიცარიელე, რასაც ვერავინ და ვერაფერი შეავსებს.

ასიკო ცინცაძე, დარეჯან ჩხუბაძე,
ლელა ონიანი, ირინა თავაძე,
ვლადიმერ ღლონტი,
გიორგი აბუსელიძე,
ვაჟა ვერულიძე, ანზორ დევაძე,
გესიკ გაუჩაძე, ჯემალ ანანიძე,
გესიკ გოლქვაძე

ემზარ ძირკვაძის გახსენება

მოულოდნელად გარდაიცვალა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ემზარ ძირკვაძე.

პროფესორი ემზარ ძირკვაძე დაიბადა 1959 წლის 5 თებერვალს. 1976 წელს დაამთავრა დიოკნისის საშუალო სკოლა. 1977–1982 წწ. სწავლობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და ელექტროფიკაციის ფაკულტეტზე. 1984-1987 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის ასპირანტი. წარმატებით დაიცვა დისერტაციაც.

ბატონი ემზარი წლების მანძილზე მუშაობდა მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე: 1988 წლიდან 20 წლის მანძილზე საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტში გაიარა ყველა საფეხური ლაბორანტიდან - ასოცირებულ პროფესორამდე. 2003-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის აგრობიზნესის სპეციალისტად. 2004-2005 წლებში იყო არასამთავრობო ორგანიზაციის – ,,მთიანი რეგიონების განვითარების საერთაშორისო ასოციაცია" – აღმასრულებელი დირექტორი.

2006 წელს დაინიშნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო სამეურნეო ტექნოლოგიების სამმართველოს უფროსის მოადგილედ. 2008 წლიდან 3 წლის მანძილზე იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი, შემდეგ კი - ერთი წელი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველი.

სიცოცხლის ბოლო პერიოდში ემზარ ძირკვაძე მუშაობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელ თანამდებობაზე. იგი იყო 2 გამოგონების, 8 მეთოდური მითითებისა და რეკომენდაციის და 30-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის 2 სახელმძღვანელოს და 4 დამხმარე სახელმძღვანელოსი. ბატონი ემზარის ეს მიღწევები გარკვეულად იმ საერთაშორისო გამოცდილებას ემყარება, რაც მან უცხოეთის არაერთ ქვეყანაში (აშშ, გერმანია, იტალია...) სტაჟირებით და სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობით შეიძინა.

გაწეული ღვაწლისათვის ემზარ ძირკვაძე საქართველოს პრეზიდენტმა დააჯილდოვა ღირსების მედლითა (2002 წელი) და ღირსების ორდენით (2010 წელი).

ბატონმა ემზარმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობის მოკლე დროის მანძილზე დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა კოლეგებში. მას იცნობდნენ როგორც ჭეშმარიტ მამულიშვილს, დახვეწილ პიროვნებას, პრინციპებისა და საქმის ერთგულს, პროფესიონალს, ენერგიით სავსე ადამიანს, მოსიყვარულე, მზრუნველ მამასა და მეუღლეს.

ემზარ ძირკვაძემ არც ისე დიდი ასაკის მიუხედავად, შეძლო თავისი კვალის დატოვება, რადგან სიკეთისა და სიყვარულისათვის იყო მოწოდებული. მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება თანამშრომლებსა და მეგობრებში.

ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., №35
ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 120

2012 წლის 27 ივლისი,
ქ. ბათუმი

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი"-ს ზოგიერთი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - ფაკულტეტის რეორგანიზაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, რსუ–ს წესდების მე-7 მუხლის, მე–8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. **განხორციელდეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების – საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტისა და აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტის რეორგანიზაცია და მათი გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდეს აგრარული და საინჟინრო ტექნოლოგიების ფაკულტეტი;**

2. **განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტს გამოეყოს კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი, მასში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამებით და შეუერთდეს აგრარული და საინჟინრო ტექნოლოგიების ფაკულტეტს;**

1. **აგრარული და საინჟინრო ტექნოლოგიების ფაკულტეტზე განხორციელდეს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:**

№	საგანმანათლებლო პროგრამები	სწავლების საფეხური
1	მემცენარეობა, III საფეხური	
2	მცენარეთა დაცვა, IV საფეხური	
3	ვეტერინარია, III საფეხური	
4	მეფუტკრეობა, III საფეხური	
5	მეტყევეობა, III საფეხური	
6	აგრარული ტექნიკის მექანიკოსი, III საფეხური	
7	აგრონომია	
8	აგროინჟინერია	
9	სატელეკომუნიკაციო ქსელების და სისტემების ექსპლუატაციის ოპერატორი , III საფეხური	
10	სატელეკომუნიკაციო ქსელების და სისტემების ექსპლუატაციის ოპერატორი, IV საფეხური	
11	ელექტროამძრავისა და ელექტრომომსარაგებელი დანადგარების ოსტატი, III საფეხური	
12	ელექტროამძრავისა და ელექტრომომსარაგებელი დანადგარების ოსტატი, IV საფეხური	
13	ელექტროამძრავისა და ელექტრომომსარაგებელი დანადგარების ოსტატი, V საფეხური	
14	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCAD) ოპერატორი, III საფეხური;	
15	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCAD) ოპერატორი, IV საფეხური	
16	ავტომობილის ზეინკლის მოსამზადებელი პროგრამა, III საფეხური	
17	ზეინკლის მოსამზადებელი პროგრამა, III საფეხური	
18	სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტი, III საფეხური	
19	სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტი, IV საფეხური	
20	ნავთობისა და გაზის მეურნეობის ტექნიკოსი, III საფეხური	
21	ნავთობისა და გაზის მეურნეობის ტექნიკოსი , IV საფეხური	
22	არქიტექტორ-ტექნიკოსი, IV საფეხური	
23	ზეინკალ-სანტექნიკოსის მოსამზადებელი პროგრამა, III საფეხური	
24	მშენებლობის მწარმოებლის მოსამზადებელი პროგრამა, IV საფეხური	
25	კალატოზის მოსამზადებელი პროგრამა, III საფეხური	
26	მებათქაშის მოსამზადებელი პროგრამა, III საფეხური	
27	მეფილე-მომპირკეთებლის მოსამზადებელი პროგრამა, III საფეხური	
28	მლუბავის მოსამზადებელი პროგრამა, III საფეხური	
29	რკინაბეტონის სამუშაოთა მწარმოებლის (მუყალიბე, მეარმატურე, მებეტონე) მოსამზადებელი პროგრამა, III საფეხური	
30	სამოქალაქო მშენებლობა	
31	ელექტროენერგეტიკა და ტელეკომუნიკაცია	
32	ქიმიური ტექნოლოგიები	
33	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემის ტექნიკოსი, III	
34	საფეხური	
35	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემის ტექნიკოსი, IV	
36	საფეხური	
37	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი), II საფეხური	
38	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი), III საფეხური	
39	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი), IV საფეხური	
40	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი), V საფეხური	
1	აგრონომია	ბაკალავრიატი
2	აგროეკოლოგია	
3	სატყეო საქმე	
4	აგროინჟინერია	
5	სასურსათო ტექნოლოგია	
6	მშენებლობა	
7	ტრანსპორტი	
8	ტელეკომუნიკაცია	
9	სამთო და გეოინჟინერია	
10	კომპიუტერული	
1	აგრარული ტექნოლოგიები	მაგისტრატურა
2	სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა	
3	ტელეკომუნიკაცია	
4	ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები	
5	ბიზნესის ინფორმატიკა	
1	აგროეკოლოგია, მცენარეთა დაცვა	დოქტორანტურა
2	აგროტექნოლოგია	
3	მეტყევეობა, ტყეთმოწყობა	
4	სოფლის მეურნეობის მექანიზაცია;	
5	სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა	
6	გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა	
7	ნავთობისა და გაზის ტექნოლოგია	
8	სასურსათო ტექნოლოგია	
9	ელექტროენერგეტიკა	

4. ეთხოვოს რსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს წინამდებარე სტრუქტურული ცვლილებების დამტკიცება;

5. რსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს მიერ ზემოაღნიშნული ცვლილებების დამტკიცების შემთხვევაში დადგენილებაში აღნიშნული ცვლილებები **ამოქმედდეს 2012 წლის 10 სექტემბრიდან**;

6. დადგენილება გამოქვეყნდეს რსუ-ს ვებ-გვერდზე, ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე და გაზეთში „ბათუმის უნივერსიტეტი";

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., №35
ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 135

2012 წლის 27 ივლისი,
ქ. ბათუმი

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის" 2011-2012 სასწავლო წლის კურსდამთავრებულ, აკადემიური დავალიანების მქონე ზოგიერთი სტუდენტისათვის გამონაკლისის დაშვების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43–ე მუხლის მე–12 პუნქტის, რსუ–ს წესდების მე–8 მუხლის 66–ე მუხლების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის" 2011-2012 სასწავლო წლის კურსდამთავრებულ, აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტებს, რომლებიც ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მომართავენ რსუ-ს, მიეცეთ შესაძლებლობა 2012-2013 სასწავლო წლის ბოლომდე აითვისონ დავალიანებული საგნები (კრედიტები);

2. სტუდენტებს, რომელთა მიერ ასათვისებული კრედიტების რაოდენობა აღემატება 75–ს, შეუწყდეთ სტუდენტის სტატუსი, გამონაკლისის დაშვების გარეშე;

3. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ეთხოვოს „რსუ-ს სტუდენტთათვის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნათა შეუსრულებლობის გამო სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ" რექტორის ბრძანებების შედეგად, წინამდებარე დადგენილების მოთხოვნების გათვალისწინებით, შესაბამისი აქტების გამოცემა;

4. ეს დადგენილება საჯარო გამოცხადების მიზნით განთავსდეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული შენობისა და ფაკულტეტების დეკანატების საინფორმაციო დაფებზე, ასევე გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და გაზეთში „ბათუმის უნივერსიტეტი";

5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**

ქველმოქმედი



არიან ადამიანები, რომელთათვისაც ქველმოქმედება, ჰუმანურობა და სხვათა სამსახურში დგომა, ღვთის მიერ ბოძებული ნიჭია. სწორედ ერთ-ერთი მათგანია ხულოს რაიონის სოფელ რაქვთაში დაბადებული და აღზრდილი, ვორონეჟში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი ავთანდილ ბარათაშვილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ გაწეული ქველმოქმედება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი. იგი ღირსეულად დგას მომავალი თაობის გვერდით.

რაქვთა ხულოს რაიონის ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფელია, ხოლო მისი მკვიდრი შვილი შაქრო ბარათაშვილი სხალთა-ხიხაძირის ხეობისა და სოფლის ბრძენკაცებს შორის განთქმული პიროვნება იყო. იგი ცნობილი იყო თავისი ქველმოქმედებით, მეზობლების გაკითხვითა და თანადგომით. შაქრო ბარათაშვილმა დაამთავრა ქალაქ ბათუმის სავაჭრო ტექნიკუმი. სხვადასხვა დროს მუშაობდა სოფელ ხიხაძირის უნივერმაღის გამგედ, შუახევის სოფლების — წაბლანისა და ფურტიოს სასოფლო მაღაზიის გამგედ, ზამლეთის კოოპერატივის თავმჯდომარედ, ხულოს რაიონის კოოპერატივის მასწავლებლად. შაქრო ბარათაშვილი მრავალი წლის განმავლობაში სათავეში ედგა სოფლების — რაქვთისა და ფუშრუკაულის კოლმეურნეობას. ნაყოფიერი მუშაობისათვის, უნარიანი ხელმძღვანელობისათვის მას მიღებული ჰქონდა მთავრობის მრავალი ჯილდო, მათ შორის ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის წოდებაც.

შაქრო ბარათაშვილი მოაზროვნე, შორსმჭვრეტელი კაცი იყო და ყოველთვის ცდილობდა ცხოვრებისეული მოთხოვნილებები საჭირო კალაპოტში მოექცია. ოჯახისა და თანასოფლელთა შეძლებულ ცხოვრებას სწავლასა და დაუღალავ შრომაში ხედავდა, რომლის პირველი მაგალითიც თავად იყო. მის მეუღლეს, უმიან სურმანიძეს იცნობდნენ როგორც სათნო, სოფელში დაფასებულ, ჭკვიან და დარბაისელ მანდილოსანს. შაქრო ბარათაშვილმა თავის მეუღლესთან ერთად

ქვეყანას აღუზარდა 6 სასახელო შვილი, ოთხი ვაჟი: გურამი, დავითი, შოთა და ავთანდილი და ორი ქალიშვილი — თამარი და დარიკო. გამორჩეული ქალიშვილი თამარი, სამწუხაროდ, ნაადრევად, 29 წლის ასაკში გარდაიცვალა.

უმიან სურმანიძისა და შაქრო ბარათაშვილის ერთ-ერთი გამორჩეული შვილი ნაბოლარა ვაჟი ავთანდილია. მას არ აკლდა მშობლების და და-ძმების ყურადღება, მაგრამ თავად მასაც აღმოაჩნდა ცხოვრებისეული ალღო, ნიჭი და შემართება. მან ჯერ რაქვთის, ხოლო შემდეგ ხიხაძირის შოთა რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლა დაამთავრა.

კაცთმოყვარე და ქველმოქმედ ოჯახში გაზრდილი ავთანდილი ყველგან სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. მან სამხედრო სამსახური მოიხადა ვორონეჟში, დემობილიზაციის შემდეგ დაამთავრა კულაშის ზოოვეტერინარული ტექნიკუმი, ხოლო შემდეგ სტავროპოლის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკური ფაკულტეტი, რის შემდგომაც მოღვაწეობა დაიწყო უკრაინასა და ბელორუსიაში. მისთვის ყველაზე უფრო საიმედო და ახლობელი აღმოჩნდა ქალაქი ვორონეჟი, სადაც მან გასული საუკუნის 80-იან წლებში მოიხადა სამხედრო სამსახური. იგი 1995 წლიდან საბოლოოდ სწორედ ამ ქალაქში დაბრუნდა და შექმნა ოჯახი მეუღლესთან, იულია კუზნეცოვასთან ერთად. დააფუძნა უმსხვილესი სამშენებლო ფირმა, სააქციო საზოგადოება „მეტალისტი“. ფირმა წარმატებით ახორციელებს სახლმშენებლობას და სამშენებლო მასალების დამზადება-რეალიზაციას.

ბიზნესსაქმიანობით განთქმულ უდიდეს ქვეყანაში ახლა ვერავის გააკვირვებ, მაგრამ ავთანდილ ბარათაშვილს მთელ რუსეთში იცნობენ და პატივს სცემენ, როგორც

წარმატებულ და ქველმოქმედ ბიზნესმენს, სანდო პარტნიორსა და ანგარიშგასაწევ ორგანიზატორს. ამ წარმატებებს მან მიაღწია არა მარტო მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლით, არამედ გულუხვობითა და ჰუმანურობით.

ავთანდილს აღმოაჩნდა მსხვილი საწარმოს გაძღოლის დიდი უნარი, მუშაობის წარმადობის, ეკონომიკური მაჩვენებლის მიღწევის ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, შრომითი კოლექტივის ერთ მუშტად შეკვრისა და მობილიზების შესაშური უნარი, რაც იძლევა შესაძლებლობას ფირმის სამეწარმეო საქმიანობის გაფართოებისა. ავთანდილი ითვლება ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ ბიზნესმენად ქალაქ ვორონეჟში. მის ფირმას დიდი წვლილი მიუძღვის ქალაქის ბიუჯეტის შევსებაში. მისი შემოსავლის დიდი ნაწილი, ბევრი ხმაურისა და რეკლამის გარეშე ხმარდება ქალაქ ვორონეჟის ბაგა-ბაღებს, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს, ინვალიდებსა და ავადმყოფებს.

ავთანდილ ბარათაშვილის საქმიანობის მნიშვნელოვანი მხარე ქველმოქმედება, ჰუმანურობა და დახმარებაა. იგი იმითაც არის აღიარებული პიროვნება, რომ არ წყვეტს კავშირს თავის სამშობლოსთან — საქართველოსთან, განსაკუთრებით მის მშობლიურ კუთხესთან-აჭარასთან,სოფელ რაქვთასა და მის მოსახლეობასთან. ხუთი შვილის მამა და სამი შვილიშვილის ბაბუა, თავის მშობლიურ სოფელში ყოველწლიურად ჩამოდის, ეცნობა თანასოფლელების ავ-კარგს და ცდილობს შეუმსუბუქოს მათ მძიმე ცხოვრება. წლის განმავლობაში რამდენჯერმე სოფელს მოადგება პროდუქტებით, საყოფაცხოვრებო ნივთებით და საგნებით დატვირთული ავტომანქანები — ეს ავთანდილის ნობათია.

მშობლიური კუთხის გულმხურვალე პატრიოტის, ავთანდილ ბარათაშვილის დაფინანსებით რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ფუშრუკაული-რაქვთის ხუთკილომეტრიან საავტომობილო გზას და კაპიტალურად შეკეთდა რაქვთის საჯარო სკოლის შენობა, სწორედ ავთანდილის მონდომებით და საზოგადოების მოთხოვნით მოეწყო სახელოვანი დის — თამარ ბარათაშვილის დაბადებიდან 70 და გარდაცვალებიდან 40 წლის იუბილე, ცენტრალური და ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების ძალისხმევით სოფელ რაქვთის საჯარო სკოლას მიენიჭა მისი დის, ჩინებული პედაგოგის, თამარ ბარათაშვილის სახელი. ავთანდილმა მშობლიური ხალხისა და სოფლის დიდი სიყვარულის დასტურად მამისეულ მიწის ნაკვეთებში ააგო საცხოვრებელი სახლი, სადაც თავადაც და გაიჩინა და თავის ახლობლებსაც გაუჩინა საცხოვრებელი კერა.

განსაკუთრებულია ავთანდილ ბარაშვილის მიერ გაწეული ქველმოქმედება შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი. მან 22000 ლარი მოახმარა უნივერსიტეტის სასწავლო ლაბორატორიის მოწყობასა და საჭირო ინვენტარის შეძენას, 10000 ლარი კი სოციალურად დაუცველი, ომში დაღუპულთა ბავშვების და ობოლი სტუდენტების სწავლის ქირის გადახდას. მისი თაოსნობით 2008 წლიდან წელიწადნახევრის განმავლობაში ჩვენი უნივერსიტეტის 25 სტუდენტი, თითოეული 100 ლარის ოდენობით სტიპენდიას ღებულობდა. მისი გადაწყვეტილებით ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები ღებულობენ პრემიებს. დანიშნულია ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდია 250 ლარის ოდენობით. ავთანდილმა ჩვენს უნივერსიტეტს 75 წლის იუბილესთან დაკავშირებითაც საკმაო რაოდენობის ფინანსური დახმარება გაუწია. ასევე, სხვა სახის ქველმოქმედებასთან ერთად, ავთანდილი ეხმარება მახინჯაურის ბავშვთა სახლსა და ქალაქ ბათუმის მიუსაფართა თავშესაფარს.

არც ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი დარჩა ვალში ავთანდილ ბარათაშვილის წინაშე. შემთხვევითი არ იყო, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ 2012 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით ბატონ ავთანდილ ბარათაშვილს საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა.

ბატონმა ავთანდილმა ამას წინათ, საუბარში განაცხადა, რომ იგი ჩვენს უნივერსიტეტში სამეცნიერო პროექტების განხორციელებას და ქველმოქმედების გაფართოებას გეგმავს. ასრულებოდეს ეს ჩანაფიქრიც. მადლობა მოვახსენოთ მას გაწეული საქველმოქმედო საქმიანობისათვის და წარმატებები ვუსურვოთ ბიზნესსაქმიანობაში.

სრული პროფესორი

ონისე სურმანიძე

ერაზმუს მუნდუსის გაცვლითი პროგრამები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში

European Commission
ERASMUS MUNDUS
ALRAKIS

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საერთაშორისო თანამშრომლობასა და ევროინტეგრაციის საკითხებს. იგი 2007 წლიდან უცვლელად არის ერაზმუს მუნდუსის კონსორციუმის წევრი, მიმდინარე წელს კი ერთდროულად 4 სხვადასხვა კონსორციუმშიც ჩაება, რაც სტუდენტებს, მკლევრებსა და აკადემიურ პერსონალს მობილობისა და ევროპულ უნივერსიტეტებთან დაახლოების, გამოცდილების გაზიარების ახალ საშუალებებს აძლევს.

ერაზმუს მუნდუსი უმაღლესი განათლების სფეროში თანამშრომლობისა და მობილობის პროგრამაა, რომელიც მიმართულია ევროპული და არაევროპული ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ხარისხის გაუმჯობესებისკენ და ხელს უწყობს დიალოგსა და ურთიერთგაგებას ხალხსა და კულტურებს შორის. პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტების თანამშრომლობის კონსორციუმების ჩამოყალიბებასა და სტუდენტების, მკლევრებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლას. გასულ წელს ევროკავშირმა აღნიშნული პროგრამის მასშტაბები გააფართოვა და თუ აქამდე საქართველოში ერთი თანამშრომლობის კონსორციუმი ფუნქციონირებდა, ახლა 11 ქართული უნივერსიტეტია გაერთიანებული 9 ახალ კონსორციუმში. ამდენად, ჩვენი უნივერსიტეტი ახალ სასწავლო წელს გაცვლითი პროგრამების განსაკუთრებით ფართო სპექტრით ხვდება, რომლის მონაწილეობით 3 ახალი გაცვლითი პროგრამა („ELECTRA“, „EUROEAST“ და „WEBB“) დაფინანსდა. ეს კი არსებითად ზრდის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის შესაძლებლობებს.

რაც შეეხება ერაზმუს მუნდუსის პროგრამის ფარგლებში გასულ წელს დაფინანსებულ პროექტს “ALRAKIS”-ს, ამ პროგრამით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 4 ბაკალავრი, 2 მაგისტრანტი და ერთი პროფესორი მიემგზავრება ევროპაში. გარდა ამისა, ტურიზმის ფაკულტეტი უმასპინძლებს ვარშავის უნივერსიტეტის 2 მაგისტრანტს. 20 აგვისტოდან 10 ოქტომბრამდე შესაძლებელია განაცხადების შეტანა დარჩენილ ვაკანსიებზე. კერძოდ, ბაკალავრიატი - 3 ადგილი, დოქტორანტურა - 10 ადგილი, პოსტსადოქტორო კვლევა - 6 ადგილი. დაშვებულია აგრეთვე მობილობის ერთი ადგილი აკადემიური პერსონალისთვის. (იხილეთ პროექტის ვებგვედი www.alrakis.eu).

პროექტის მმართველი გუნდის სახელით ვულოცავთ გამარჯვებას კონკურსანტებს: ვახტანგ ნაკაშიძეს, თეა შავაძეს, მალვინა ჯიბლაძეს, გიორგი მიქელაძეს, ალესანდრე დავითაძეს, ლიანა თებიძესა და ქალბატონ რუსუდან ხუხუნაიშვილს.

მიმდინარე წელს საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობისა და დაფინანსებული საგრანტო პროექტების რაოდენობის მიხედვით ჩვენმა უნივერსიტეტმა სხვა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის პირველი ადგილი დაიჭირა. ვულოცავთ მშობლიურ უნივერსიტეტს და ყველა უნივერსიტეტელს წარმატებას.

ბიბლიოთეკა – თქვენი ერთგული მეგობარი

ახალ სასწავლო წელს ტრადიციულად, ახალი გეგმებით, იმედებითა და შემართებით ვხვდებით. მინდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სახელით ყველას მივულოცო 2012-2013

სასწავლო წლის დაწყება, წარმატებებისა და წინსვლის, სასიკეთო სიახლეების მომტანი ყოფილიყოს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სასიხარულოა იგი ჩვენი პირველკურსელებისთვის, რომლებიც ცხოვრების ახალ, საინტერესო ეტაპს იწყებენ.

ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს ბიბლიოთეკას, მის რესურსებს, ფუნქციებს, მოვალეობებსა და შესაძლებლობებს. ამჯერად, პირველკურსელებს გვინდა გავეცნოთ, როგორც მათი მომავალი მეგობარი, კერა, სადაც უნდა გაატარონ სტუდენტობის ლამაზი და ბედნიერი წლების დიდი ნაწილი.

საქართველოში მიმდინარე რეფორმის კვალდაკვალ, ტექნოლოგიების და სხვადასხვა სახის საინფორმაციო საშუალების განვითარების ფონზე სტუდენტებში უფრო მნიშვნელოვანი ხდება ინფორმაციული წიგნიერების უნარების გამომუშავება. საწარმოები და დამსაქმებლები საჭიროებენ ცვალებად გარემოში ადაპტირებად კადრებს. ამდენად, შეიცვალა მოთხოვნები და მიდგომები განათლების სფეროში. საზოგადოება დადგა გამოწვევის წინაშე, რათა განსაზღვროს კონკრეტული ინფორმაციის საჭიროება, მოიპოვოს და კრიტიკულად გაანალიზოს იგი, თვითგანათლების გზით აითვისოს ახალი ტექნოლოგიები, მიდგომები და მეთოდები.

ბიბლიოთეკას ყოველთვის განსაკუთრებული ფუნქციები და როლი ეკისრება გარშემომყოფ საზოგადოებაში წიგნიერების ამაღლების, ინფორმაციის

დაგროვების, დაცვისა და გავრცელების თვალსაზრისით. განვითარებასთან ერთად იზრდება მოთხოვნები ბიბლიოთეკის მიმართ, ტრადიციულ ვალდებულებებთან ერთად დამატებითი როლი აკისრია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ისტორია უნივერსიტეტის დაარსების დღიდან იწყება და 77 წელს ითვლის. აქ თანამედროვე სამეცნიერო, მხატვრულ და პოპულარულ ლიტერატურასთან ერთად დაცულია 1815-1917 წლებში გამოცემული, მეცნიერული და ისტორიული ხასიათის ძველი გამოცემები. დღეისთვის კი ფონდის შემადგენლობაშია 300 ათასზე მეტი დასახელების საბიბლიოთეკო დოკუმენტი. გარდა ამისა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მკითხველს უზრუნველყოფს სხვადასხვა სამეცნიერო და შემეცნებითი პერიოდული გამოცემითა და საერთაშორისო ელექტრონული ბაზებით. იგი შედგება ერთი ცენტრალური, ორი საფაკულტეტო და ერთი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბიბლიოთეკისგან. მიმდინარე წელს, უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ალიოშა ბაკურიძის ინიციატივითა და ძალისხმევით ცენტრალურ ბიბლიოთეკას ემატება სამკითხველო დარბაზი, ფართი დამუშავებისა და დაკომპლექტების განყოფილებისა და აბონემენტზე მომსახურებისათვის, იზრდება ბიბლიოთეკის სამუშაო დრო.

მომხმარებელთა ინტერესების შესწავლა და ბიბლიოთეკის სათანადო ბაზებით უზრუნველყოფა უნივერსიტეტის მუდმივი ზრუნვის საგანია. გასულ წელს ჩვენი

წიგნადი ფონდი შეივსო 85 000 ლარის ღირებულების სახელმძღვანელოებითა და სამეცნიერო ლიტერატურით, მიმდინარე წელს კი წიგნების შესასყიდად 90 000 ლარი გამოიყო. ყოველწლიურად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება თანამედროვე პრესის პოპულარულ გამოცემებსა და სამეცნიერო პერიოდიკას იძენს.

ამჟამად, მიმდინარეობს ინტეგრირებული ბიბლიოთეკების ფონდების გაერთიანება ერთიან საკატალოგო სიტემაში, რაც საშუალებას მოგვცემს სრულად გამოვიყენოთ არსებული რესურსები, გავზარდოთ მომსახურების ხარისხი, გამარტივდეს წიგნებისა და სხვა რესურსების საძიებო სისტემა.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა თავისი შინაარსითა და ფუნქციებით განსხვავდება სხვა ბიბლიოთეკისგან, მისი მრავალფეროვანი რესურსის გამოსაყენებლად, გვინდა პირველკურსელებს გავაცნოთ რამდენიმე წესი:

როგორ დავიწყოთ ბიბლიოთეკასთან ურთიერთობა?

ბიბლიოთეკის რესურსებით სარგებლობისთვის აუცილებელია გაეცნოთ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს და დარეგისტრირდეთ მკითხველად. ამისათვის უნდა წარმოადგინოთ სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, პირადობის მოწმობა და ფერადი ფოტოსურათი. ჩვენი თანამშრომლები გახსნიან "მკითხველის ბარათს", რომელშიც აისახება თქვენ მიერ დროებითი სარგებლობისთვის გატანილი სახელმძღვანელოს ავტორი, სათაური და გატანის თარიღი. ერთი საბიბლიოთეკო დოკუმენტის გატანის ვადა მერყეობს ერთიდან ორ თვემდე. ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა წიგნი, რომლის მხოლოდ ერთი ან ორი ეგზემპლარია დაცული, ასეთ წიგნებზე უნდა იმუშაოთ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში. აქვე შეგიძლიათ გაეცნოთ პრესასა და სხვადასხვა სახის პერიოდულ გამოცემას. დარბაზში სამუშაოდ უნდა წარმოადგინოთ პირადობის მოწმობა ან სტუდენტის ბარათი.

როგორ გავიტანოთ წიგნი ბიბლიოთეკიდან?

ბიბლიოთეკაში შემოსულ ლიტერატურას ჩვენი სპეციალური სამსახური ამუშავებს დადგენილი სტანდარტის მიხედვით, ყოველ წიგნს ენიჭება ინდივიდუალური საინვენტარო ნომერი და უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის ინდექსი, ე.წ. შიფრი, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს მოცემული წიგნის "მისამართს" ბიბლიოთეკის წიგნთსაცავში. ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში განთავსებული კატალოგების მეშვეობით თქვენ მიიღებთ ინფორმაციას ბიბლიოთეკაში დაცული ბეჭდური ერთეულების შესახებ. სისტემური კატალოგით თქვენ შეგიძლიათ შეარჩიოთ ლიტერატურა დარგის მიხედვით, ხოლო ანბანური კატალოგით მოძებნით ავტორის ნაწარმოებს. აქვე მითითებული საინვენტარო ნომრების მიხედვით დაადგენთ თქვენ მიერ შერჩეული წიგნის რამდენი ეგზემპლარია დაცული. ლიტერატურის შერჩევის შემდეგ უნდა შეავსოთ "მოთხოვნის ბარათი", სადაც მიეთითებული იქნება თქვენი ვინაობა, წიგნის სათაური, ავტორი და განყოფილება (შიფრი). მოთხოვნის დატოვებიდან არა უგვიანეს ერთი დღისა, შეგიძლიათ წიგნი გაიტანოთ.

ლიტერატურის ძიების გასამარტივებლად შექმნილია საბიბლიოთეკო დოკუმენტების ელექტრონული კატალოგი, მკითხველთა ინტერესების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით ელექტრონული რესურსების განყოფილება მუშაობს ბიბლიოთეკის მართვის ინტეგრირებულ სისტემაში - "open biblio", სათანადო მონაცემების ასახვაზე. ელექტრონულ სისტემაში მოცემულია აქტიურად მოხმარებადი ფონდის უმეტესობა. აქ განთავსებული წიგნების პარამეტრების დასადგენად შეგიძლიათ ეწვიოთ ვებგვერდს: http://www.biblio.bsu.ge და განახორციელოთ ძებნა ამ გვერდზე განთავსებულ ელექტრონულ კატალოგში. ამ უკანასკნელის გამოყენება შეგიძლიათ ინტერნეტით, ნებისმიერი კომპიუტერიდან.

საძიებო სისტემისთვის განკუთვნილი კომპიუტერები განთავსებულია აგრეთვე სამკითხველო დარბაზსა და მომსახურების განყოფილებაში. სტუდენტებს ემსახურება ასევე 51-ე და მე-400 აუდიტორიებში განთავსებული ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების განყოფილება ინტერნეტითა და სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიებით. აქვე შეგიძლიათ ეწვიოთ საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებს: EBSCO Publishing, Cambridge University Press, Royal Society Journals Collection, BioOne და გამოიყენეთ მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოებაში აღიარებული ავტორიტეტული გამოცემების სამეცნიერო სტატიები.

გახსოვდეთ, მკითხველი ვალდებულია დაიცვას და გაუფრთხილდეს ბიბლიოთეკის ფონდებს, დადგენილ ვადებში დააბრუნოს დროებითი სარგებლობისთვის გატანილი წიგნი. საბიბლიოთეკო დოკუმენტის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში მომხმარებელი იხდის ჯარიმას.

ჩვენი სტუდენტების ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ბიბლიოთეკისა და სტუდენტების თანამშრომლობის კარგ ტრადიციას, თავისუფალ დროს სტუდენტები ბიბლიოთეკას ეხმარებიან სხვადასხვა საქმიანობაში: ფონდების დალაგებაში, დეფიციტური სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიების შექმნაში, წიგნების ტექნიკურ დამუშავებში, რითაც ერთი მხრივ ეუფლებიან საბიბლიოთეკო საქმეს, მეორე მხრივ კი თავიანთი წვლილი შეაქვთ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია მკითხველის აზრი მომსახურების ხარისხზე, მზად ვართ თქვენთან ერთად განვიხილოთ ყოველი საქმიანი შემოთავაზება თუ წინადადება.

მაშ ასე, ბიბლიოთეკის სახით გელოდებათ ერთგული მეგობარი, რომელიც მზადაა დაგეხმაროთ სასურველი სახელმძღვანელოსა თუ სასურველი შემეცნებითი რესურსის მოძიებაში.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ სასწავლო წელს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი
ლელა თურმანიძე

რედაქტორი:
იოსებ სანიკიძე

სპეციალისტი:
ნესტან მამუჭაძე

სარედაქციო კოლეგია:
ნანა ფეფხლაძე
ინგა შამილიშვილი
ნათია ნიკლაშვილი
ნინო დოლიძე
მურმან გორგოშაძე
დავით ბარათაშვილი
გურამ ჩაგანავა
შოთა მამულაძე
უჩა აბრამიშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
სს „პოლიგრაფისტი“
27-59-10, 27-59-11
მის.: ქ. ბათუმი,
გორგილაძის 91